# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 31 იანვარი, 2014 წელი.

№21 (7402)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

# რიჩარდის ცხენი და ვანოს პრემია,



(2)

## ანუ ის ტირანი იყო და ეს – დემოკრატი?!

### მერაბ ბაღათურია:

## გირგვლიანის საქმე მესამე დღეს გავხსენით



(5)

სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან 8 წელი გავიდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გამოძიება განახლდა. საქმის გახსნა რამდენჯერმე დაანონსდა. თუმცა, ამ დრომდე საქმე გამოძიებული არაა.

## პეტრე მამრაძე: სქემა, რომლითაც „ნაციონალები“ ფულს შოულობდნენ!

(6)

## მთავარი პროკურორის ბიოგრაფიის წვრილმანები

(4)

## ჩვენს ლარს წინსართი „დო“ რომ მიებმებოდეს...



(11)

## „საქართველო იშვიათი ქვეყანაა, რომელიც სამხილებს ანადგურებს“

(6)

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№21. პარასკევი, 31 იანვარი, 2014 წელი.

ვაი, ჩვენს პატრონს!

# რიჩარდის ცხენი და ვანოს პრემია,

## ანუ ის ტირანი იყო და ეს – დემოკრატი?!

– ...ცხენი! ნახევარ სამეფოს ვიძლევი ერთ ცხენში! – გეხსომებათ რიჩარდ მესამის განწირული შეძახილი.

– ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, ვსიო, პრემია დიდია! – ეს ბევრად უფრო „ხელმომჭირნე" დაპირება კი აწ უკვე პატიმარ, ხოლო წარმოთქმის მომენტისთვის ქვეყნის იმდროინდელ „ხერხემალს" ვანო მერაბიშვილს ეკუთვნის...

ამ ორმა ფრთიანმა გამონათქვამმა კიდევ ორი რამ გამახსენა: ერთი – საკმაოდ უხამსი რუსული ანეკდოტი, მეორე კი – მავანის მიერ მავანთა არანაკლებ „უხერხული" შეფასება-შედარება.

პირველი: თითქმის უკვე დაძრული ელექტრომატარებლის კარი ახალგაზრდა გოგომ ლამის შემოანგრია. ხელში ბიკინი უჭირავს.

– სად იძლევიან? – ეკითხება მატარებლის მგზავრი ერთი მანდილოსანი.

– არ იძლევიან, მე თვითონ მივეცი, ჩაცმა კი ვერ მოვასწარი.

და მეორე – სოსო ჯაჭვლიანის შედარება-შეფასება: ნაციონალები ბოზი ქალებივით არიან, ტრუსების აწევა თუ მოასწრეს, აქეთ შემოგიტევენ.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მრავალგზის პრაქტიკულად დადასტურებულა ეს „ჭეშმარიტება".

ახლა კი ამ ხუთიოდე წლის წინანდელი ამბავი, რის ნახვა-მოსმენამაც გუშინ ტელემაყურებელი დაშოკა.



**„მაქვს ერთი ჩანაწერი, სადაც სოდის თანამშრომელი ყვება, როგორ დაიგეგმა მუხროვანის ოპერაცია, როგორ დაცხრილეს ჟილეტები, დასვარეს სისხლით წინასწარ, როგორ შემოახვიეს ჩემი ძმის ტანსაცმელი. ნამდვილად ვიცი, რომ იმ დროს ჯარს იარაღი არ ჰქონდა. ჩანაწერში სახელდება გვარები, თუ ვინ იყვნენ ამ სპეცოპერაციის შემსრულებლები, ერთ-ერთი ასეთი არის ხარაზიშვილი, რომელიც ამ დროისთვის გორში შს სამინისტროს სპეცრაზმის ხელმძღვანელია, ასევე ძმები ლეკაშვილები, როგორც ის ასახელებს. ის კაცი ამბობს, ჩემი თუ არ გჯერათ, ამოიღოს პროკურატურამ 2009 წლის მაის-ივნისის თვის ხელფასები და თქვენ ნახავთ, რომ ამ ხალხს 12 000 ლარის ოდენობის პრემიები აქვთ აღებული.**



**გუშინ გავრცელებულ კადრებშიც კარგად ჩანს, ვანო მერაბიშვილი როგორ ჰპირდება გიას და კობას მკვლელობაში დიდი თანხის გადახდას",** – განაცხადა გარდაცვლილი გენერლის გია კრიალაშვილის დამ ლია კრიალაშვილმა გუშინ „რეპორტიორში" გამართულ პრესკონფერენციაზე.

ამ კადრების ხილვა-მოსმენამ, ცხადია, ნაციონალებიც დაშოკა. ერთი პირობა, კი დაიბნენ განცელები, იმასაც ვერ გრძნობდნენ ხეირიანად, ტრუსები აწეული ჰქონდათ თუ ჯერაც ხელში ეჭირათ, მაგრამ მაინც იმთავითვე შეტევაზე გადავიდნენ – თავდაცვის საუკეთესო საშუალებაზე, თანაც ყველაზე წყალგაუვალი არგუმენტით – სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით:

პირველი დავით საყვარელიძე იყო, ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილე და ამჟამინდელი საპარლამენტო უმცირესობის „ვარსკვლავბიჭუნა".

**„2009 წლის მაისში საქართველოში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ ამბოხს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო კონსტიტუციური წყობის დამხობა. ამ ამბოხის გაგრძელების შემთხვევაში იყო რისკი ფართომასშტაბიანი, დიდი სისხლისღვრის და 90-იანი წლების მსგავსი შეიარაღებული დაპირისპირებისა. ხელისუფლებამ, მაშინ ერთ დღეში აღმოფხვრა ეს საფრთხე და, რაც აღსანიშნავია – მსხვერპლისა და დაზარალებულების გარეშე. ამ ამბოხის ორგანიზატორები იყვნენ კობა ოთანაძე და გია კრიალაშვილი...**

მეორე აქტიურმა განცელმა ირმა ნადირაშვილმა მთლად ამდენი ვერ „გაქაჩა", მაგრამ ამ ფაქტის კვლავ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ გამოყენება კი სცადა:

**„ვიდეოს ატვირთვიდან ნახევარ საათში პროკურატურამ საზეიმოდ გვამცნო, ძიება დავიწყეთო. რაღაც არ მახსენდება, ბატონებო, ასეთივე ოპერატიულობა გამოგეჩინათ და შეგესწავლათ, როგორ მოხვდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში ბრალდებული პირები პოლიტპატიმრების სიაში. რატომ ასევე არ იჩქარეთ ძიების დაწყება, ბანდიტმა ფარცხალაძემ მერაბიშვილი ციხიდან რომ გაიტაცა? ან როგორ მოხდა ბედუკაძის უდანაშაულობის აღიარება? ან ვინ მოკლა 9 თვის რაფალიანცი?**

**ეს ვიდეო ხელისუფლების ატვირთულია და მიზნად ისახავს ამ ხმაურიანი საქმეების გადაფარვას. ამ ვიდეოს ამტვირთავებს უნდათ, ქვეყანა კომპრომატებით მართონ. რომ ადამიანებს დროებით მაინც დაავიწყონ ლარის გაუფასურება, მილიარდიანი გარღვევა ბიუჯეტში, გაძვირებული საწვავი და პროდუქტები, ღარიბაშვილ-თამაზაშვილის კლანური მმართველობა და სამსახურიდან გამოყრილი ათასობით ადამიანი".**

აქვს კი აზრი ირმის ნუკრივით უმანკო ირმასთვის იმ უბედურებათაგან თუნდაც რამდენიმეს შეხსენებას, მისი „დაცვის ქვეშ მყოფმა" განაცმოძრაობელებმა რომ დაატეხეს თავს ქვეყანას?

დამეთანხმებით, არა აქვს! ამიტომაც პოლიტიკაში მასზე ბევრად გამობრძმედილ-რაფინირებულ განცელზე გადავიდეთ. უფლებამოსილებაშეჩერებულ თბილისის მერს გიგი ი (უ)გულავას ვგულისხმობ.

**„ – ვინც იცნობს მერაბიშვილს, – თქვა მან, – და მის არცთუ ისე გრამატიკულად გამართულ საუბრის მანერას, კარგად გაარჩევს, რა იგულისხმა მან".**

აგაშენოს გამჩენმა, თბილისელ გადასახადის გადამხდელთა და ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე აშენებულო, „მოგულავე" გიგი! ვგონებ, ყველაფერი „გააიასნა"! არცოდნა ხომ, მართლაც, არცოდვაა და, რახან ვანიჩკას **„არცთუ ისე გრამატიკულად გამართული საუბრის მანერა"** აქვს, ამისთვის ხომ არ უნდა ჩამოვახრჩოთ და ყველაფერი დავაბრალოთ კაცს?

თუმცა, მე რომ ყველაფერი გაიასნებული მეგონა, თურმე სულ სხვანაირად ფიქრობს უბრალოდ გიგის დარად გამოცდილი პოლიტიკოსი კი არა, იმავდროულად, ყველა განცელზე მეტად გამოჯეკილი რევოლუციონერი ქართველი ჩეგევარა-თარგამაძე, რომელსაც ხშირად პირის გაღება ეზარება, თორემ თუ გააღო...

**„ის (ვანო მერაბიშვილი – რ. რ.) იძახის რომ ორი ადამიანის დაკავებაა საჭირო და იქ იგულისხმება, რომ თუ დამნაშავეები გასწევდნენ წინააღმდეგობას, ამ შემთხვევაში ძალოვნების ადეკვატური მოქმედება მომხდარიყო".**

**– უჰ, შენ კი გენაცვალე, ბიძიაბაბუა!** – რეალურად რომ არსებობდეს, ნაღდად ასე წამოიძახებდა ამგვარი ახსნა-განმარტებით აღფრთოვანებული ერთაოზ ბრეგვაძე.

და მართალიც იქნებოდა! ვანო მერაბიშვილისგან განსხვავებით, რომელსაც „არცთუ ისე გრამატიკულად გამართული საუბრის მანერა" ჰქონია (ისე, ჩვენო „გულაობის" მოყვარულო გიგილო, იგი საერთოდაა მწყრალად გრამატიკასთან, რასაც მისი ასპირანტობისდროინდელი უხეში შეცდომებით სავსე განცხადებაც ადასტურებს, გაზეთებშიც რომ დაიბეჭდა – **რ. რ.**), გივი ჩეგევარა ნაღდი „ინტელექტუალია" (მართალია, იგი სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსიდანაა გარიცხული, ვერც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა ხეირიანად, სანიტრობიდანაც მოხსნეს და, ამდენი გაუმართლებლობით თავმობეზრებულმა ერთ ახალგაზრდას ღვინის ბოთლით თავი გაუტეხა და კინაღამ სიცოცხლესაც გამოასალმა (სხვათა შორის, ამის გამო მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ახლაც არაა დახურული), მაგრამ მისმა სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა და „თავისუფლების ინსტიტუტამდეც" მიიყვანა, საიდანაც „ვარდებიც დაყნოსა").

სწორედ ამ თავისი „ინტელექტუალობის" წყალობით იცოდა მან, ვანიჩკასგან განსხვავებით, რომელსაც უთუოდ ყურმოკვრითღა გაეგო სადღაც სიტყვა „გვამის" მეორე, ძველქართული მნიშვნელობა, რომ „გვამი", თუნდაც ილიას დროს, მარტო ცხედარს კი არა, პიროვნებას, ადამიანსაც ნიშნავდა: **„რა სიხარული დუღს ახლა ჩემს გულში, რომ გხედავთ ამდენ ბრწყინვალე გვამს, აქ მობრძანებულს (ილია)".**

თუმცა, რად გვინდა ამდენი ვარაუდი თუ მიეთ-მოეთი! არა სჯობს, რომ თვით ვანოს მოვუსმინოთ, იმ ვანიჩკას, რომელმაც, გიგილოს მტკიცების საწინააღმდეგოდ, „საუბრის არცთუ ისე გრამატიკულად გამართული მანერა აქვსო", ქუთაისში მიმდინარე სასამართლო პროცესზე საკმაოდ გამართულად თქვა:

**„ცამდე მართალი ვარ და არ მრცხვენია, ვინაიდან არც ერთი მათგანის წინააღმდეგ არ იყო გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი. ჩვენი ინფორმაციით, მუხროვანის აჯანყებაში მონაწილე ორი რუსი მრჩეველი ამბოხებაში მონაწილეობდა, კვალის დაფარვის მიზნით ისინი მოკლეს და სწორედ ამ ორ გვამს ვითხოვდი. მე ვიძლეოდი მათი პოვნის ბრძანებას. სწორედ მაშინ ვთქვი, მომიძებნეთ ის ორი გვამი. მაშინ 15 ადამიანი დააკავეს. ამ ამბის მიბმა ხელოვნურია სამი კვირის შემდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციასთან და ოთანაძის დაკავებასთან..."**

ესეც ასე! როგორც ჩემს ბავშვობაში იტყოდნენ, – „გათავდა და მორჩა, წერტილი და ტოჩკა!"

თუმცა, ჩვენი ნაპრეზიდენტალისა არ იყოს, ნურას უკაცრავად! ეს სულაც არ გახლავთ ის შემთხვევა, როდესაც პოეტური სტრიქონების პერიფრაზირებით შეგვიძლია ვთქვათ, – ეს ისტორია მთავრდება, აკლია მხოლოდ წერტილიო.

პირიქით, იგი მხოლოდ იწყება პროკურატურის გამოძიებით, რომელიც, იმედია, უთუოდ გასცემს პასუხს ბევრ კითხვას, ყველას რომ გვაწუხებს.

მაგალითად, მუხროვანის ამბოხებაში მონაწილეობის ბრალდებით გასამართლებული კობა ოთანაძე ვანო მერაბიშვილის აღნიშნულ განცხადებას სიცრუეს უწოდებს.

**„ეს ხომ ტყუილია. ყველა ამ ბრალდებას უარყოფს. მერე სად არიან ეს რუსი მრჩევლებიო? ან რა რუსი მრჩევლები ან ვინ მოკლა, სად არის მათი გვამები. ჭკუაზე აღარ არის, შეიშალა მგონი ჭკუიდან. ეს უბრალოდ ტყუილია. უბრალოდ თავის გამართლება უნდა მაგ ადამიანს. შეიცვალა სიტუაცია**





და აეწვათ ყველაფერი. მსგავსი განცხადება მიმართულია იმისკენ, რომ გამოძიებას შეუშალოს ხელი. ასევე ვფიქრობ და ვრჩები იმ აზრზე, რომ გუშინ გავრცელებულ ვიდეოში მე და გია კრიალაშვილს ვგულისხმობ...

გენერალ კობა კობალაძის თქმით კი, ვანო მერაბიშვილმა თუ ამდენი იცის, მაშინ რუსი მრჩევლების კონკრეტული სახელები და გვარები უნდა დაასახელოს და თქვას, სად არის მათი გვამები.

**„რომელი რუსის გვამებს ითხოვს, რა გვამებს ითხოვს. თუ ამდენი იცის, რომ ორი რუსი მრჩეველი იქნა მოკლული, კონკრეტული სახელები და გვარები თქვას მათი, კონკრეტულად სად იყვნენ ეს მრჩევლები და ვინ მოკლა. ვანო მერაბიშვილის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. იარაღი არ იყო გამოყენებულიო, ეს აუხსნას კრიალაშვილის, ამირიძის და ოთანაძის ოჯახებს და თვითონ ამ ბიჭებს. დაიწყება სასამართლო და სასამართლო დაადგენს ბრალეულობას.“**

როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ განმარტა, საქართველოს კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გაუქმებულია და, შესაბამისად, ლიკვიდაციის ბრძანებაც უკანონოა. ვახტანგ ხმალაძის მოსაზრებით, გუშინ გავრცელებული კადრები აბსოლუტურად საკმარისი საფუძველია, რათა გია კრიალაშვილის მკვლელობის გამო გამოძიება დაიწყოს.

**„ეს არის ლამის პირდაპირი მტკიცებულება, სამართლის ენით თუ ვიტყვით, უკანონო მოქმედებისა და, საყოფაცხოვრებო ენით თუ ვიტყვით, დანაშაულისა, ამორალური მოქმედებისა. ფაქტობრივად, პირდაპირი ბრძანება არის გაცემული მკვლელობაზე, დაკვეთა არის მკვლელობისა. არანაირი სამართლებრივი გამართლება ამას არ აქვს... სასჯელი განისაზღვრება კანონით, საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, შესაბამისად, მკვლელობის ბრძანება არ არის სასჯელი, ეს არ არის კანონის აღსრულება, ეს არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება.“**

იმედია, გამოძიება ყველაფერს დაადგენს. უწინარესად იმას, ცხადია, რა არის ეს – „კუდიანებზე ნადირობა“, როგორც ამას განაცმოძრაობელნი ამტკიცებენ, თუ ნაღდი დასაწყისი სამართლიანობის აღდგენისა, რასაც მოუთმენლად ელის ხალხი.

აქ ერთ ფრთიან ფრაზას შევახსენებდი ბატონ სოსო ჯაჭვლიანს, რომლის ვაჟკაცურ ბუნებას დიდად ვაფასებ და, რომელიც თავად არის ასეთივე გამონათქვამებით ცნობილი (თუმცა, მარტო მას კი არა, საპარლამენტო უმრავლესობასა და ხელისუფლებასაც): **მეთევზეს ფეხი სველი უნდა ჰქონდეს!**

უსამართლობისკენ არავის არ მოვუწოდებ, მაგრამ, **ერთი ანდაზისა არ იყოს, პწკენა-პწკენით მხოლოდ პატარძალი შეიძლება დაორსულდეს (ისიც გადატანითი მნიშვნელობით, ცხადია), ათას მამაძაღლობაში გამოჯეკილ მამალ განაცმოძრაობელებს კი ამ მეთოდით ვერ „დაამაკებთ“, კუთვნილ ადგილს ვერ მიუჩენთ: გამოძიებაც და განაჩენიც კვალიფიციური, გაუჭიანურებელი, მკაცრი და სამართლიანი უნდა იყოს.**

თორემ, სხვაგვარად, მოკლულ ინკოგნიტო რუს მრჩევლებს რა გამოლევს (ყოველ შემთხვევაში, მე პირადად მათზე არასოდეს არაფერი არ მსმენია!)

დაბოლოს, წერილის სათაურთან დაკავშირებით: ახლახან ინგლისში აღმოაჩინეს თავის დროზე ტირანად და დესპოტად მონათლული რიჩარდ მესამის ჩონჩხი. თანამედროვე მეთოდ-საშუალებების გამოყენებით პროფესიონალებმა აღადგინეს აგერ ლამის ექვსი საუკუნის წინათ დალუპული რიჩარდის პორტრეტი და წამოიძახეს – **ასეთი სანდომიანი გამომეტყველების ადამიანი განა შეიძლება ტირანი ყოფილიყო?!**

**მოკლედ, შექსპირი გაამტყუნეს და დაადანაშაულეს!**

ეს ტრადიციულ ინგლისში მოხდა. მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ამდენს როგორ მოვითმენთ! 5-6 საუკუნე კი არა, ვერ ხედავთ განაცმოძრაობელებს სულ დიდი სამი წლის მოთმენაც არ სურთ – **პარლამენტის არჩევნებამდე უნდა დავბრუნდეთ ხელისუფლებაშიო.**

**ამისთვის კი მათ, ხალხის მხარდაჭერის გარდა, ისიც სჭირდებათ, რომ, ვანო მერაბიშვილის სახით, „ახალშობილი“ რიჩარდივით ფიზიონომიაგაკეთილშობილებულნი გახდნენ. ამიტომაც ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი რეჟიმისთვის პირის მოწმენდას და, რაკი ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ ხვდებიან, კვლავ სოსო ჯაჭვლიანს თუ დავესესხებით, „ბლატაობენ ჩმორები!“**

**სანამდე, ბატონებო (ხელისუფლებას მივმართავ – რ. რ.)? ან თავიანთი ადგილი მიუჩინეთ მათ ერთხელ და სამუდამოდ, ანაც, თქვენი ადგილები დაუთმეთ ხელისუფლებაში დაბრუნების დაუოკებელი სურვილით ატანილ განაცმოძრაობელებს!**

**თუ ხალხმა მოგცათ ამის ნება, ცხადია!**

**რუსლან რუსია**

**◎ ინფორმაცია**

## „ჩემი სურვილია, ციხეში არც ერთი ქალი არ იყოს“

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სასჯელაღსრულების ქალთა №5 დაწესებულებას ესტუმრა.**

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა უწმინდესის ინიციატივითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორგანიზებით შედგა.**

**ღონისძიებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეები გიგა გიორგაძე და არჩილ თალაკვაძე, დეპარტამენტის თავმჯდომარე დიმიტრი დარბაისელი, დეპარტამენტისა და დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.**

**ილია მეორემ მსჯავრდებული ქალების მიერ შექმნილი ნივთები დაათვალიერა და მსჯავრდებულები დალოცა.**

**კათოლიკოს-პატრიარქმა პატიმრებს მიმართა და აღნიშნა, რომ მათთვის ილოცებს. ილია მეორემ სასჯელაღსრულების №5 დაწესებულების ბინადრებს თავისი სურვილიც გაანდო – უწმინდესმა სთხოვა საქართველოს პრეზიდენტს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრსა და პარლამენტს, ძალა არ დაიშურონ იმისათვის, რომ ციხეში არც ერთი ქალი არ იყოს.**

**სტუმრის პატივსაცემად მსჯავდებულებმა პოეზიის საღამო გამართეს, სადაც ერთ-ერთი მსჯავრდებული ქალბატონის ლექსები -„გისოსებს მიღმა დაწერილი სტროფები“ წაიკითხეს.**

**პოეზიის საღამოს დასრულების შემდეგ სიონის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა მსჯავრდებული ქალბატონებისთვის რამდენიმე სიმღერა და საგალობელი შეასრულა.**

**ღონისძიების დასასრულს პატრიარქმა მსჯავრდებულებს საჩუქრები გადასცა.**

## ნინო ბურჯანაძე: დასავლელმა პარტნიორებმა თავი უნდა შეიკავონ მერაბიშვილის დაცვისაგან

**ვისურვებდი, დასავლელმა პარტნიორებმა გამოძიების დამთავრებამდე თავი შეიკავონ ვანო მერაბიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დაცვისაგან , – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ბრიფინგზე.**

**ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დიდი ხანია უნდა დამდგარიყო, „ქართულ ოცნებას“ რომ შეესრულებინა წინასაარჩევნო დანაპირებები, რომლითაც ის მოვიდა ხელისუფლებაში ჯერ კიდევ პირველ ოქტომბერს და შემდეგ კი ნაწილობრივ შანტაჟის გზით, გაიმყარა ხელისუფლებაში ყოფნა უკვე საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

**„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის თქმით, ახალ ხელისუფლებას აუცილებლად უნდა დაეყენებინა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, რადგან არც ერთი მსგავსი საკითხი მიხეილ სააკაშვილის გარეშე არ წყდებოდა.**

**„ვისურვებდი იმას, რომ ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა თავი შეიკავონ გამოძიების დამთავრებამდე მაინც ვანო მერაბიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დაცვისაგან, რადგან ეს მხოლოდ აზარალებს დასავლეთის იმიჯს საქართველოს მოსახლეობის თვალში“, – განუცხადა ჟურნალისტებს ნინო ბურჯანაძემ.**

**ინტერპრესი**

**◎ მოსახლეობის უსაფრთხოების პრობლემები**

# გაზის ჩართვისა რომ არ გვეშინოდეს...

**მოსახლეობისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება საფრთხილო საქმე რომაა, ამას, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება. შესაბამისად, სადავო არც ისაა, რომ გაზმომარაგების პროცესი ტექნოლოგიურად გამართული უნდა იყოს, რა დროსაც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გარკვეულ სტანდარტებზე დამყარებული წესების ზუსტი დაცვა როგორც გაზის მიმწოდებლის, ასევე მომხმარებლის მხრიდან. ეს ყველაფერი კი ნამდვილად ასეა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ დღესდღეობით საქართველოში ასეთი ტექნოლოგიურად დასაბუთებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობილი წესები ელემენტარულად არ არსებობს, მოქმედებს ეგრეთ წოდებული „ზოგადი მოთხოვნები“, რაც, გაზმომარაგების სპეციალისტების აზრით, ყოვლად დაუშვებელია.**

აღნიშნული პრობლემა ცოტა ხნის წინათ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გვქონდა გამოტანილი (№215, 2013 წლის 8 ნოემბერი, **„თბილისი-ყანზტრასგაზის“ საკონცენტრაციო ბანაკის გაზის უზარმაზარი საკანი?)**, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

**„გაზის სპეციალისტმა მურმან დანელიამ თავის მხრივ განმარტა, რომ უსაფრთხოების მოთხოვნების გადახედვის თაობაზე დიდი ხანია ხელისუფლებას მიმართავენ, თუმცა კი უშედეგოდ. ამდენად, ფაქტობრივად, გამოდის, რომ გაზმომარაგების საკითხებში პრობლემური მხოლოდ მილების თემა არ არის, თუმცა კი, გარდა ამისა, უამრავი საკითხია, რომელთა გადაჭრაში აუცილებელია მთავრობის ჩარევა. საამისოდ საჭიროა გაზის ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის არსებობა. ხშირია შემთხვევები, როცა საქმეს არაკვალიფიციური ფირმები და კერძო პირებიც აკეთებენ, რასაც უამრავი უბედური შემთხვევა მოყვა“.**



ამჟამად ამ სფეროში შექმნილი საგანგაშო ვითარების დამადასტურებელ საბუთად, გაზეთ „კვირის პალიტრას“ ბატონ მურმან დანელიას საგანგაშო სტატისტიკა მოჰყავს: კერძოდ, **2010 წელს გაზით ინტოქსიკაცია 1161 კაცმა მიიღო, რის შედეგადაც 13 კაცი გარდაიცვალა; 2011 წელს გაზით მოიწამლა 1191 კაცი, გარდაიცვალა 8; 2012 წელს მოიწამლა 1971 კაცი, გარდაიცვალა 6; 2013 წლის იანვარ-მარტში მოიწამლა 1423 კაცი, გარდაიცვალა 4. უფრო ახალი სტატისტიკური მონაცემები ჯერჯერობით არ არის, მაგრამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ყოველწლიურად მარტო დედაქალაქში გაზით ასეულობით ადამიანი რომ იწამლება, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ სფეროში მდგომარეობა სასწრაფოდ მისახედია.**

– არსებული ვითარების გამოსასწორებლად საჭიროდ მიმაჩნია ამ მხრივ არსებული კანონმდებლობის შეცვლა, რაც, კერძოდ, ამჟამად მოქმედი გაზმომარაგების „ზოგადი მოთხოვნების“ გაუქმებასა და ადრე არსებული „უსაფრთხოების წესების“ ახალი ვარიანტის შემუშავებას გულისხმობს , სადაც არსებულ ძირითად მოთხოვნებს ის თანამედროვე სიახლეები დაემატება, რომლებიც უსაფრთხოების გარანტიებს გააძლიერებს, – ამბობს ბატონი მურმან დანელია. – ამასთანავე, საჭიროა, **რეალურად აღდგეს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია.** დარწმუნებული ვარ, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელებით მნიშვნელოვნად შემცირდება უბედურ შემთხვევათა რიცხვი.

გამოცდილი სპეციალისტი გულდაწყვეტით ლაპარაკობს, რომ პრობლემასთან დაკავშირებით არაერთ თანამდებობის პირს, ვისაც მისი გადაჭრა სამსახურებრივად ეკისრება, პირადად შეხვდა, ესაუბრა, მაგრამ ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მასმედიისთვის მიმართვაც ამ გარემოებამ გადააწყვეტინა, თუმცა კი, ზოგიერთმა ჩვენმა კოლეგამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია.

– არადა, უსაფრთხოების ახალი წესების შემოღებას, ჩემი გათვლებით, დამატებით დაახლოებით 20 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნაც მოყვება, რაც ასევე დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის, – განაგრძობს ჩემი რესპონდენტი, – ისიც მინდა გითხრათ, რომ გაზმომარაგების ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის შექმნას და უსაფრთხოების წესების აღდგენას მოწინააღმდეგენიც ჰყავს, რომელთა არგუმენტაცია ამასთან დაკავშირებით ხარჯის გაზრდაა. მათ პასუხად მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: ამ ლოგიკით მაშინ არც პოლიცია გვინდა, არც სახანძრო, არც სხვა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახურები. **ხოლო თუკი ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი იქნება, პირადად მე მზად ვარ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩავერთო ამ სამსახურში.**

**ოთარ ტურაბელიძე**

# მთავარი პროკურორის ბიოგრაფიის წვრილმანები



**მას შემდეგ, რაც „ნაყაჩაღარი“ მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე შემოგვაპარეს, ახალდანიშნული სახელმწიფო ბრალმდებლის მიმართაც იმთავითვე გაჩნდა ეჭვი — სინამდვილეში ვინ არის ის? მით უმეტეს, რომ მავანთა აზრით, მასზე არჩევანი სწორედ ოთარ ფარცხალაძემ შეაჩერა და მემკვიდრედ დატოვა. გიორგი ბადაშვილის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი და ხელჩასაჭიდი არაფერია, პრესამ რომ „იჭორავოს“ ისეთი. თუმცა, ერთგან რატომღაც თითქოს გაშარჟებულია ის ამბავი, რომ მთავარი პროკურორი იურისტების ოჯახიდანაა: „გიორგი ბადაშვილი რამდენიმე კვირის წინათ შესრულდა 32 წლისა. უცოლოა და როგორც გავარკვიეთ, ოჯახი სავსე ჰყავს „სიშჩიკებით“: მამა — პროკურორია, ბებია — მოსამართლე, იმ ბებიის „აწეც“ და „კიდომ ივო ივო აწეც“, ყველა იურისტია“,** — დაიწერა ინტერნეტში.

დეკლარაციის მიხედვით, პროკურორის კუთვნილი ბინა ნუცუბიძეზე მდებარეობს, მაგრამ იქაურმა მცხოვრებლებმა მის შესახებ არაფერი იციან, არც იცნობენ. სამაგიეროდ, გიორგის ბავშვობა კარგად ახსოვთ მეზობლებს თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რადგან იქ გაიზარდა. თამაში და გართობა თურმე არ იზიდავდა, თითქმის სულ მეცადინეობდაო. ზოგადად, ბადაშვილებს დადებითად ახასიათებენ: კარგი, თბილი ხალხია, — ამბობენ მეზობლები.

გიორგის დედა მასწავლებელია, და — ნინო ბადაშვილი — შპს „თბილისის პარკის“ ოფის-მენეჯერი. მამა ამჟამად იურისტად მუშაობს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“. მთავარი პროკურორი მართლაც რომ კარგი სასიძოა, თანაც დიპლომიანი.

წინამორბედებისგან განსხვავებით, მისი დიპლომი ნამდვილია. გიორგი ბადაშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებული რომ არის, ამას მისი ყოფილი ლექტორები ერთხმად ადასტურებენ. მეტიც, რატომღაც დაამახსოვრდათ ეს ერთი შეხედვით „არაფრით გამორჩეული სტუდენტი“. ჩვენ გავესაუბრეთ მის ყოფილ ლექტორს, ქალბატონ **მაია ჟანადაშვილს,** რომელიც ამჟამად ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს.

**— ქალბატონო მაია, რამდენად კარგად გახსოვთ ყოფილი სტუდენტი გიორგი ბადაშვილი?**

— საკმაოდ დიდი დროა გასული, 2003 წლის კურსდამთავრებულია, თუმცა, როგორც კი მისი სურათი ვნახე ტელევიზორში, უცებ აღვიდგინე. სახელი და გვარი ნამდვილად არ მახსოვდა, ვიზუალურად დამამახსოვრდა.

**— რა საგანს ასწავლიდით?**

— პირველ წელს ვუკითხავდი რომის სამოქალაქო სამართალს და შემდეგ დამამთავრებელ კურსზე ვასწავლიდი ადვოკატობის სპეცკურსს. სამწუხაროდ, უწყისები არა მაქვს, მაგრამ მახსოვს, რომ სახელმწიფო გამოცდაზე ოთხიანი მიიღო.

**— იყო თუ არა რამით გამორჩეული სტუდენტი?**

— ძალიან ზრდილობიანი ახალგაზრდა იყო, წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული, ეტყობოდა, რომ კარგ ოჯახში იყო აღზრდილი. მახსოვს, ლექციებს არ აცდენდა. იმითაც დამამახსოვრდა, რომ არ დასჭირვებია ვინმეს პროტექცია, არც არასდროს უთხოვია ნიშანი (ვთქვათ, ქულა მჭირდება და მომიმატეო). იყო ჩვეულებრივი სტუდენტი.

**— დღეს ის ქვეყნის მთავარი ბრალმდებელია. ასეთ ადამიანს, როგორც წესი, ლიდერის, მენეჯერის, მმართველის თვისებებიც მოეთხოვება. ჩანს, რომ გიორგი სტუდენტობისას ასეთ ხასიათს არ ავლენდა.**

— ნამდვილად, არა. ყოველ შემთხვევაში მე არ შემინიშნავს. ზოგადად არ იყო ამბიციური. სამოქალაქო სამართალს ვასწავლიდი. ეტყობოდა, რომ მიდრეკილება უფრო სისხლის სამართლისკენ ჰქონდა, თუმცა, ჩემი საგნის მიმართ ზერელე დამოკიდებულებას როდი ავლენდა. ვიცოდი, რომ არც ადვოკატად აპირებდა მუშაობას. თუმცა, ამ საგანსაც კარგად ითვისებდა. ვიხილავდით ხოლმე ამა თუ იმ საქმეს და ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა. მერე სად მუშაობდა, როგორ, მისი კარიერული ზრდის შესახებ არაფერი გამიგია. არც მინახავს...

* * *

მთავარი პროკურორის სტუდენტობის გახსენება ვთხოვეთ ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერს, ქალბატონ **ქეთევან ქოქრაშვილს:**

— ძალიან კარგად მახსოვს გიორგი. მის კურსზე ჩემი რამდენიმე მეგობრის შვილები სწავლობდნენ, ამიტომ უფრო მეტად ვმეგობრობდი მათ ჯგუფთან. მაშინ კათედრის გამგე გახლდით, თან ლექციებსაც ვკითხულობდი სამოქალაქო და სამეწარმეო სამართალში. გიორგი ერთ-ერთი ჩემი მეგობრის შვილის მეჯვარე იყო. საკმაოდ მომზადებული თაობა გახლდათ, ზოგადად.

გიორგი იყო მშვიდი, წყნარი, თითქოს უკვე გაზრდილი და ჩამოყალიბებული პიროვნება. ჩემს საგანს ოთხიანზე სწავლობდა, თუმცა, კოლეგებისგან ვიცოდი, რომ სისხლის სამართალში გაცილებით კარგად იყო მომზადებული და ხუთიანი ჰყავდა. რაღაც საგანში არ ბრწყინავდა, რაღაცაში, როგორც ვიცი, სამებიც კი ჰქონდა მიღებული. იყო ნორმალური, მოაზროვნე სტუდენტი...

მაშინ ხშირად ხდებოდა ჩხუბი, გარჩევები, მაგრამ გიორგი ასეთ რამეებში შემჩნეული არ ყოფილა. არ აცდენდა ლექციებს, სემინარზე მომზადებული მოდიოდა ხოლმე, ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა. მასთან ურთიერთობა სასიამოვნო იყო.

ძალიან მინდოდა ჩემი სპეციალობა აერჩია, ვინაიდან მოაზროვნე ბიჭი იყო, ყოველთვის საინტერესო კითხვებს სვამდა ხოლმე, თუმცა, ვერაფერს გავხდი. მას თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, გაჰყოლოდა სისხლის სამართალს. სახელმწიფო გამოცდაზე სპეციალობად სწორედ ეს საგანი ჩააბარა. თუ არ ვცდები, ოთხიანზე.

**— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თუ გქონიათ ურთიერთობა?**

— ვინაიდან ჩემი მეგობრის შვილთან მეგობრობდა, ყოველთვის მოვიკითხავდი ხოლმე მის ამბავს. თვალყურს ვადევნებდი მის კარიერულ ზრდას, მიხაროდა, რომ იურისტის რაკურსით მუშაობდა და წარმატებები ჰქონდა კარიერაში.

**— ახლა გკითხავთ, როგორც ამ დარგის ექსპერტს და არა, როგორც გიორგის ყოფილ ლექტორს. თქვენი აზრით, რამდენად კარგად გაართმევს თავს ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობას, აქვს თუ არა მას საამისო რესურსი?**

— ვინაიდან მას შემდეგ ათწლეულზე მეტი გავიდა, პასუხი გამიჭირდება. შეიძლება ის ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა, არ ვიცი. თუკი არ შეიცვალა, მაშინ, ვფიქრობ, კარგი პროკურორი იქნება.

**— რატომ?**

— ის არის დინჯი, გაწონასწორებული ადამიანი, რომელსაც განსჯის უნარი აქვს. გიორგის სიფიცხე არ ახასიათებდა. როცა ვკამათობდით რაღაც კაზუსის შესახებ, მშვიდად საუბრობდა, ფიქრობდა, არასოდეს იღებდა სპონტანურ გადაწყვეტილებას.

**— სიდინჯე არ აკლდა არჩილ კბილაშვილს, მაგრამ ფურორი ვერ მოახდინა პროკურატურაში...**

— გეთანხმებით. პიროვნულ თვისებებს სჭირდება კიდევ სხვა რამ. კბილაშვილში იძალა ადვოკატის თვისებებმა. რთულია, როცა მთელი ცხოვრება ადამიანის უფლებების დამცველი ხარ, უცებ მენტალიტეტი გადააწყო და სახელმწიფო ბრალმდებელი გახდე. გიორგიში ქმედების იმპერატივიზმი გაცილებით მეტია. ასე რომ, ის უფრო გაამართლებს!

* * *

მართლაც, მთავარი პროკურორის ბიოგრაფიაში ჩანს, რომ ის მუდამ საგამოძიებო სისტემაში მუშაობდა. ჯერ იყო ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოს გამომძიებელი, შემდეგ — ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი. 2011 წელს კი დააწინაურეს და თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი სამმართველოს უფროსად დაინიშნა. 2013 წლის მაისიდან ნოემბრამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო, ხოლო მთავარ პროკურორად დანიშვნამდე მთავარი პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გახდა.

მთავარ პროკურორად დანიშვნის პირველივე დღესვე მასაც გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომლებიც ამბობენ, რომ, რადგან ბადაშვილი ზუსტად იმ განყოფილებებში მუშაობდა, რომლებშიც უკანონო წართმევები ხდებოდა, ტყუილად აქვთ იმედი, რომ ის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საქმეებს ობიექტურად გამოიძიებს...

„ოთარ ფარცხალაძის დანიშნული კადრი“, როგორც ბადაშვილს უწოდებენ, წინამორბედისგან განსხვავებით „ყაჩაღი“ არ არის, თუმცა, მასაც ამოუჩხრიკეს ევროპაში „დანაშაული“. „დემოკრატიული და სამართლიანი საქართველოს“ თავმჯდომარე გერონტი აშორდია ინტერნეტსივრცეში ასეთ ინფორმაციას ავრცელებს: **„სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მივიღეთ 2013 წლის 31 ოქტომბერს გამოცემული წერილი №60953/11 საქმეზე გადაწყვეტილების შესახებ, სადაც ამავე სასამართლოს სახელით ხელს აწერს სასამართლოს იურისტი-რეფერენტი გიორგი ბადაშვილი.**

**ვინაიდან მისი „CV“-ის მიხედვით ამ დროს ის მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, აქაც და იქაც ერთდროულად ვერ იმუშავებდა. ე. ი. რაღაც გაყალბებასთან გვაქვს საქმე“.**

არის თუ არა ხელმომწერი გიორგი ბადაშვილი ჩვენი მთავარი პროკურორი, ამას დღემდე არკვევს გერონტი აშორდია. მას ასევე ეჭვი აქვს, რომ თეა წულუკიანი გიორგი ბადაშვილს სწორედ სტრასბურგიდან იცნობს. რაც შეეხება მთავარი პროკურატურის პრესცენტრს, იქ ამტკიცებენ, რომ გიორგი ბადაშვილს სტრასბურგში არასოდეს უმუშავია...

**თეა მოსია**

## ⊙ ალიან-ჩალიანი

### ღარიბაშვილი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიუნხენის 50-ე უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი გერმანიაში დღეს დაიწყება და 2 თებერვლამდე გაგრძელდება.**

**მიუნხენის კონფერენციაზე, სადაც მსოფლიო ლიდერები საგარეო პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში ძირითად პრიორიტეტებს განსაზღვრავენ, დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა სესიაზე: „გლობალური ძალაუფლება და რეგიონალური სტაბილურობა“.**

**ირაკლი ღარიბაშვილი კონფერენციის მონაწილეებს ინფორმაციას საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და მიმდინარე რეფორმებზე მიაწვდის. გაიმართება დისკუსია ევროატლანტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. შედგება საუბარი რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, ასევე საქართველოს მოლოდინზე ევროატლანტიკურ პროცესებში.**

**მიუნხენის კონფერენციის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი კონფერენციის ოფიციალური გახსნის და საზეიმო მიღების ცერემონიას დაესწრება. საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიწვეულია ბავარიის მიწის პრემიერ-მინისტრის პოსტ ზეეჰოფერის ოფიციალურ სადილზე და სამუშაო ლანჩზე.**

**მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდება: ამერიკის შეერთებული შტატების სენატორს ჯონ მაკკეინს, გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს, ეუთო-ს გენერალურ მდივანს ლამბერტო ზანიერის, აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორს ფრედერიკ კემპეს, აშშ-ის თავდაცვის მდივანს ჩარ ჰაგელს, კონგრესმენ მაიკლ ტერნერს სერბეთის პრემიერ-მინისტრ ივიცა დაჩიჩს, სლოვენიის პრემიერ-მინისტრს ალენკა ბრატუსეკს, ბულგარეთის პრეზიდენტს როსენ პლევნელიევს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ვალტერ შტაინმაიერს სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიროსლავ ლაიჩაკს, ჰენრი კისინჯერს, ულრიხ გრილოს.**

**მიუნხენში ვიზიტის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ინტერვიუს მისცემს გერმანულ ყოველკვირეულ ჟურნალ FOVUS-ს, ასევე ტელეკომპანია ZDF-ს.**

**დელეგაციის შემადგენლობაში არიან საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია.**

### ნატოს ექსპერტებისგან დადებითი შეფასება მივიღეთ

**ნატოს ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ „კეთილსინდისიერების განვითარების“ პროგრამის განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები დადებითად შეაფასა.**

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიშის შესახებ განცხადება თავდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ ქაროსანიძემ და ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ გუშინ თავდაცვის სამინისტროში გააკეთეს.**

**მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ანგარიშში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც სამინისტრომ უკვე გადადგა გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციული რისკების შემცირების მიზნით, ასევე, გამოყოფილია პრობლემური საკითხები, რომლებიც დამატებით მუშაობას საჭიროებს.**

**თამარ ქაროსანიძის განმარტებით, ანგარიში თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა ჯეიმს აპატურაიმ გამოუგზავნა.**

**ნატოს წარმომადგენელი ანგარიშზე თანდართულ წერილში სამინისტროს დეტალური ინფორმაციისთვის და ექსპერტთა ჯგუფის დეკემბრის ვიზიტის დროს აზრთა გულწრფელი გაცვლისთვის მადლობას უხდის.**

**ნატოს „კეთილსინდისიერების განვითარების“ პროგრამა 2007 წელს შეიქმნა. მისი მიზანია ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა.**

**ინტერპრესი**



## მერაბ ბაღათურია:

# გირგვლიანის საქმე მესამე დღეს გავხსენით

**— ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების ადგილზე, გარდა კუდ-ის დაკავებული თანამშრომლებისა, უნდა ყოფილიყვნენ ოლეგ მელნიკოვი და დათა ახალაია. გარკვეული გეგმაც მქონდა, თუ როგორ უნდა განმეხორციელებინა მათი დაკავება. საქმე სასწრაფოდ ჩამომართვეს და ქალაქის პროკურატურას გადაეცა,** — ამბობს თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსი **მერაბ ბაღათურია**.

**სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან 8 წელი გავიდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გამოძიება განახლდა. საქმის გახსნა რამდენჯერმე დაანონსდა. თუმცა, ამ დრომდე საქმე გამოძიებული არაა. 2006 წელს წარმოებული გამოძიებითა და სასამართლოს შესაბამისი განაჩენით სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების ფაქტი შეფასდა, როგორც გია ალანიასა და სანდრო გირგვლიანს შორის „შარდენ ბარის" გასასვლელთან შემთხვევით წარმოშობილი პირადი კონფლიქტის გაგრძელება. შესაბამისად, საქმეც დაიხურა.**

**ზურაბ ადეიშვილის დაქვემდებარებულმა გამოძიებამ მაშინ კუდ-ის მაღალჩინოსნების და შს მინისტრის მეუღლის თაკო სალაყაიას თანამონაწილეობა ამ საქმეში „ვერ დაადგინა". მკვლელობიდან ზუსტად 2 თვეში ვანო მერაბიშვილმა საქმე გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები კუდ-ის თანამშრომლები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობიდან ზუსტად სამ დღეში მერაბიშვილმა უკვე იცოდა თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსის მერაბ ბაღათურიასგან დანაშაულის ჩამდენი პირების ვინაობა და მკვლელობის მიზეზი, მერაბიშვილს 2006 წლის 6 მარტს გამართულ ბრიფინგზე, მათ შესახებ არაფერი უთქვამს.**

**სუფრის წევრების — დათა ახალაიას, ოლეგ მელნიკოვის, ვასილ სანოძის, გურამ დონაძის და თაკო სალაყაიას დაპატიმრებას ითხოვდა მოკლულის დედა ირინე ენუქიძე. მისი შვილის მკვლელობის დამკვეთად დათა ახალაიას და თაკო სალაყაიას ასახელებდა, ხოლო უშუალო შემსრულებლად ოლეგ მელნიკოვს. საქმის გამოძიების პროცესში გარდაცვლილის დედასთან კონტაქტზე გავიდნენ ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსნები და სიჩუმის სანაცვლოდ თანხა შესთავაზეს:**

**„ჩემი შვილის მკვლელებმა, სიჩუმის სანაცვლოდ დიდი თანხა შემომთავაზეს. თუ მათ წინადადებას არ დავთანხმდებოდი, მითხრეს, რომ თავად გამაჩუმებდნენ",** — ამბობდა ირინე ენუქიძე.

დაკავებული კუდ-ის თანამშრომლები გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური 2006 წლის 6 ივლისს გასამართლდნენ. მოსამართლე გიორგი ჩემიამ ალანიას 8 წლით, ხოლო ბიბილურიძეს, აფციაურს და ღაჭავას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მალევე უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულებს სასჯელი 6 თვით შეუმცირა. 2008 წლის 24 ნოემბერს მსჯავრდებულები პრეზიდენტმა შეიწყალა.

2012 წლის ბოლოს, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაწყებული გამოძიებით დადგენილია, რომ გირგვლიანზე ანგარიშსწორება განხორციელდა შეკვეთით და ეს შეკვეთა ე.წ. „შარდენის სუფრიდან", კუდ-ის იმდროინდელმა უფროსმა დათა ახალაიამ გასცა. გირგვლიანზე ანგარიშსწორებაში, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა, დათა ახალაიას გარდა, მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ამ საქმეზე მსჯავრდებული პირები, არამედ, პოლიციის კიდევ ორი მაღალი თანამდებობის პირი.

გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულის შემკვეთისა და თანამონაწილეების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განრიდების მიზნით, მსჯავრდებულმა პირებმა, დუმილის სანაცვლოდ მიიღეს ფულადი ანაზღაურება, თითოეულმა რამდენიმე ათეული ათასის ოდენობით. გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულები სასჯელს იხდიდნენ განსაკუთრებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ისე, რომ მათი ყოფა, პრაქტიკულად, არ განსხვავდებოდა თავისუფლებაში მყოფი მატერიალურად უზრუნველყოფილი მოქალაქეების ყოფა-ცხოვრებისგან — პერიოდულად ტოვებდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში და, რაც ყველაზე საგულისხმოა, სტუმრობდნენ ძველ სამუშაო ადგილს, კერძოდ — კუდ-ს.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე გამოძიებას ჩვენება მისცა თბილისის პოლიციის ყოფილმა უფროსმა მერაბ ბაღათურიამ, რომელმაც საქმე მესამე დღეს გახსნა და საქმის დეტალები შს მინისტრს მოახსენა. თუმცა, ბაღათურიას საქმე ჩამოართვეს, მოგვიანებით კი თანამდებობიდანაც გადააყენეს.

For.ge თბილისის პოლიციის ყოფილ უფროსს **მერაბ ბაღათურიას** ესაუბრა.

**— თქვენი თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზი სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიება გახდა?**

— ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო. ამ დანაშაულის გახსნის შემდეგ, ქალაქის პოლიციაზე ძალიან სერიოზული ზეწოლა დაიწყო.

**— ვისი მხრიდან მოდიოდა ეს ზეწოლა?**

— შს მინისტრის და უწყების ხელმძღვანელობის მხრიდან. გენერალური ინსპექცია, კუდ-ი, სოდ-ი. მათი საუბრებიდან და ქმედებიდან ისე გამოდიოდა, რომ მე არ მენდობოდნენ.

**— უნდობლობა რაში გამოიხატებოდა?**

— ფაქტობრივად, ეს დანაშაული მესამე დღეს გავხსენით. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ოპერატიულმა სამსახურმა მაშინ ყველაფერი გააკეთა.

**— თქვენი გამოძიების ფარგლებში, თუ გამოიკვეთა სუფრის წევრების დანაშაულის კვალი?**

— სხვადასხვა საშუალებებით დავადგინეთ რა მოხდა „შარდენ-ბარში". დავადგინეთ სუფრის წევრების ურთიერთკავშირი გირგვლიანის და ბუხაიძის გამტაცებლებთან. უკვე, როდესაც ეს დეტალები იქნა დადგენილი, აღნიშნული მოვახსენე შს მინისტრს. მან მიბრძანა — გააგრძელეთ მუშაობაო. მიღებული იქნა



**„ჩემი შვილის მკვლელებმა, სიჩუმის სანაცვლოდ დიდი თანხა შემომთავაზეს. თუ მათ წინადადებას არ დავთანხმდებოდი, მითხრეს, რომ თავად გამაჩუმებდნენ", — ამბობდა ირინე ენუქიძე.**

დეტალური ჩვენება, რა ხდებოდა „შარდენ-ბარში". ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებით შესაძლებელი გახადა დანაშაული არ დამალულიყო. რაც შეეხება ახალიას და სხვების მონაწილეობას, მათ დაკითხვაზე და სხვა სახის ღონისძიების გატარებაზე კონტროლი დაწესებული ჰქონდა უშუალოდ შსს-ს ხელმძღვანელობას და პროკურატურას. ძირითადი სამუშაოების ჩატარებას უკვე ჩამოცილებული ვიყავით.

**— რამდენადაც ვიცი, შემუშავებული გქონდათ სუფრის წევრების დაკავების ოპერატიული გეგმაც...**

— დიახ, საშუალება რომ მომცემოდა, ამას გავაკეთებდი. იცით, რომ ამას სჭირდებოდა შს მინისტრის თანხმობა, მისი თანხმობა რომ ყოფილიყო, საქმეს ბოლომდე მივიყვანდით, მაგრამ ამის საშუალება ჩვენ არ მოგვეცა. როდესაც უკვე გახმაურდა ეს საქმე და პიკი ამ საქმის გახმაურებისა იყო ის, რომ დამევალა შევხვედროდი ქალბატონ ირინე ენუქიძეს. შეხვედრის შემდეგ ქალბატონმა ირინემ საჯაროდ განაცხადა, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ვენდობი, ბაღათურია არისო.

ამ განცხადებამ სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია... შემდეგ ხდება ისე, რომ საქმე წაიღო ქალაქის პროკურატურამ. ამის შესახებ არ ვიცოდი.

**— მთავარი, რის გამოც ეს საქმე გადაეცა პროკურატურას, იყო თუ არა თაკო სალაყაიას ფაქტორი. მერაბიშვილი ცდილობდა, რომ ამ დანაშაულში მისი მეუღლის კვალი წაშლილიყო?**

— მათ მიეცათ საშუალება ამ საქმის დეტალები და მონაწილე პირები არ გამოჩენილიყვნენ. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, თვითონ ბუხაიძეც მალავდა ინციდენტის დეტალებს. რა მოხდა უკვე ოქროყანაში, ეს ჩვენთვის უცნობი იყო. როგორც გითხარით, ამის გარკვევის საშუალება ჩვენ უკვე აღარ გვქონდა.

**— გამოძიება მაშინ ამბობდა, რომ მკვლელობის მიზეზი გია ალანიასა და სანდრო გირგვლიანს შორის „შარდენ ბარის" გასასვლელთან შემთხვევით წარმოშობილი პირადი კონფლიქტი გახდაო...**

— ვასილ სანოძის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. სუფრაზე იყო ერთ-ერთი მანდილოსანი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა სანდრო გირგვლიანთან. სანდროს იქ მისვლის მიზეზიც გახლდათ ეს მანდილოსანი. მის გამო მოხდა შელაპარაკება სუფრის წვერებსა და სანდრო გირგვლიანს შორის.

**— როდესაც მოახსენეთ მინისტრს საქმის გამოძიებისა და მონაწილე პირების შესახებ, როგორი იყო მერაბიშვილის პასუხი ამ ყველაფერზე?**

— როდესაც ეს დანაშაული მოხდა და ლევან ბუხაიძის განცხადება გახდა ჩვენთვის ცნობილი, იმ დღესვე დაიწყო გირგვლიანის ძებნა. იმავე დღეს აღმოჩენილი იქნა ოქროყანის სასაფლაოზე მრავლობითი დაზიანებებით. მაშინვე მოვახსენე შს მინისტრს ოპერატიული ინფორმაცია — ოქროყანის სასაფლაოზე ნაპოვნია ახალგაზრდა მამაკაცის გვამი მრავლობითი დაზიანებებით და გადართული ვართ ამ საქმის გახსნაზე-თქო. მინისტრის პასუხი იყო, რომ გაგვეგრძელებინა მუშაობა. უკვე იმავე ღამეს ჩვენთვის ცნობილი გახდა ძალიან ბევრი ინფორმაცია. უკვე ვცდილობდით ამ ინფორმაციის ოპერატიული ფაქტებით გამაგრებას. ისევ მივედი მინისტრთან და მოვახსენე ყველა ის დეტალი, რაც იყო ცნობილი. პასუხი იყო ასეთი — კარგი, გასაგებიაო.

**— უთხარით, რომ სუფრის წევრები ფიგურირებდნენ ამ დანაშაულში?**

— რა თქმა უნდა, დღეს რაც არის ცნობილი, ეს ფაქტები ჩვენ მეორე დღეს ვიცოდით.

**— თქვენზე იყო ზეწოლა იმავე ამ სუფრის წევრების მხრიდან?**

— ჩემს მეგობრებზე იყო ზეწოლა, რომ ინფორმაცია მიეღოთ ჩემზე რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით. ყველანაირად ცდილობდნენ შექმნილიყო ისეთი აზრი, რომ ქალაქის პოლიცია ძალიან ცუდად მუშაობს. ამის მიზეზი იყო ის, რომ გირგვლიანის საქმის გახმაურება მოდიოდა ქალაქის პოლიციიდან.

**— ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში სამჯერ შეხვდით ვანო მერაბიშვილს. როდესაც მას ჩამოუთვალეთ სუფრის წევრები, ახსენეთ თაკო სალაყაია?**

— არა, არ მიხსენებია, რომ იქ იმყოფებოდა თაკო სალაყაია.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ყველაფერი დეტალურად იცოდა ამ საქმის შესახებ. იგი ჩემს გადამოწმებას ცდილობდა. რამდენად ვიყავი ინფორმირებული სხვადასხვა დეტალებთან დაკავშირებით. შეგნებულად არ ვახსენე თაკო სალაყაია.

**— როგორი იყო მერაბიშვილის რეაქცია, როცა მისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ თქვენ მალავდით საქმეში მისი მეუღლის მონაწილეობას?**

— მითხრა, მუშაობა გააგრძელეო.

**— დათა ახალაიას ადვოკატი ამბობს, რომ სანდრო გირგვლიანის საქმეში არის გრიფით „საიდუმლო" ნაწილი, რომლის გამოქვეყნებას ის გეგმავს. გაქვთ ინფორმაცია, საქმის რა ნაწილს ადევს გრიფი?**

— ჟურნალისტებისგან გავიგე, რომ თითქოს მას აქვს მტკიცებულება და თუ არ მოხდება პროკურატურის მხრიდან რეაგირება, იმუქრება ამ მასალების დადებით. მათ შორის ხსენებული იქნა თბილისის პოლიციის მაშინდელი ხელმძღვანელობა, თითქოს, ამ დანაშაულის გამოძიების პროცესში ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობამ რაღაცა გარიგება განახორციელა. ვთხოვ ზაქარეიშვილს დადოს ეს მასალები. ძალიან საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის და ალბათ, გამოძიებისთვის. ეს მისი ყალბი ილუზიებია და მეტი არაფერი. მგონია, რომ მიზანმიმართულად არის გაკეთებული. ეს გაკეთდა იმისთვის, შემდეგ რა მიმართულებითაც წავიდა გამოძიება.

**— გასაგებია, რატომ არ გამოიძია ეს საქმე ყოფილმა ხელისუფლებამ, მაგრამ დღეს რა ხდება, რატომ არ გაიხსნა ეს საქმე?**

— დროის ფაქტორია. 8 წელია გასული. ძალიან ბევრი, მონაწილეები თუ არაპირდაპირი მონაწილე პირების მოძიება რთულია. რთულია იმ სიტუაციების აღდგენა, რა ვითარება იყო მაშინ და რაც მთავარია, თვითონ სისხლის სამართლის საქმე, ძალიან ბევრი დეტალები საქმეში აღარ იყო. ყველაფერი ამის აღდგენა, ყველა დეტალის სრულყოფილად შექმნა და წარმოდგენა, დიდ დროს მოითხოვს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის მთავარი მიზეზი.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

**◉ „ობშჩიაკი“**

# პეტრე მამრაძე: სქემა, რომლითაც „ნაციონალები“ ფულს შოულობდნენ!




**„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე „რეპორტიორთან“ საუბრისას იმ სქემაზე საუბრობს, რომლის მეშვეობითაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები „ფულს შოულობდნენ“**

— ვარდების რევოლუციის შემდეგ, დაიწყო ბიზნესის ტოტალური გაკონტროლება. პირადად ვესაუბრე კეზერაშვილის თანამშრომლებს, რომლებიც მიცნობდნენ ძველი დროიდან, მათ გულახდილად მიამბეს, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი. მათი გეგმის მიხედვით, არ უნდა დარჩენილიყო რომელიმე ბიზნესმენი, რომლებიც განსხვავებული პოზიციის პოლიტიკური პარტიის დაფინანსებას შეძლებდა. იმ პერიოდში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა და თქვა, მე ერთადერთი დამოუკიდებელი ბიზნესმენი ვარო, ის სიმართლეს ამბობდა.

**— რას გულისხმობდა თქვენს მიერ აღნიშნული სქემა?**

— მათ არართმევდნენ ბიზნესს, როგორც ასეთი. უკიდურეს შემთხვევაში ყველა ბიზნესმენი დატოვეს თავისივე საწარმოში, ჰქონდათ ხელფასი, მაგრამ ყველაფერს საწარმოში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები წყვეტდნენ. ფინანსდებოდნენ მხოლოდ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებზეც ეტყოდნენ, ჩვენია და უნდა დააფინანსოთო!

**— კონკრეტულად რომელ პოლიტიკურ პარტიაზე საუბრობთ?**

— თუნდაც „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“.

**— ვის ევალებოდა ბიზნესის სფეროს გაკონტროლება?**

— დავით კეზერაშვილს. იმ პერიოდში, ის ფაქტობრივად იყო ფინანსური პოლიციის დე ფაქტო ხელმძღვანელი, რომლის ფუნქციაც სრულიად ბიზნესის სფეროს გაკონტროლება იყო: რომლებსაც ე.წ. „ობშჩიაკში“ შეატანინებდა ფულს. სააკაშვილის ლოზუნგი იყო, „ყველა კარგი ტიპი ჩვენგან კარგად მიხედილი უნდა იყოს,“ ისინი ეძებდნენ და პოულობდნენ ადამიანებს, რომლებსაც გარკვეული განათლება ჰქონდათ მიღებული უცხოეთში ან უბრალოდ, ინგლისურად ან სხვა უცხო ენაზე შეეძლოთ საუბარი და უცხოელებთან კონტაქტის დამყარებას შეძლებდნენ, მათ, მაშინვე თავბრუდამხვევ კარიერას სთავაზობდნენ და ხშირად ისინი მინისტრებიც კი ხდებოდნენ. იყო შემთხვევები, როცა ჯერ მინისტრად ინიშნებოდნენ და ამის მერე მიემგზავრებოდნენ სასწავლებლად. გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი მამა, სიმამრი, ან რომელიმე ახლობელი საკმაოდ მსხვილი ფირმის მფლობელი ხდებოდა, რომელიც სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იმარჯვებდა. ისინი, მართლა მილიარდელები კი არ ხდებოდნენ, მათ ევალებოდათ, რომ გარკვეული წილი გადაერიცხათ „ობშჩიაკში.“

**— ამას ვის მაგალითზე ამბობთ?**

— მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ დავით ბაქრაძის სიმამრის ბიზნესი. გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ დავით ბაქრაძის სიმამრს მოგებული აქვს ორი დიდი ტენდერი, რომლებთან დაკავშირებითაც სამუშაოები არც დაწყებულა, მაგრამ ფული წაღებულია.

**— რა თანხაზეა საუბარი?**

— როგორც წესი, საუბარია მილიონებზე.

**— თუ გაქვთ ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ზემოთ თქმულს დაადასტურებს?**

— ელიტური კორუფცია, არასდროს არ ტოვებს საბუთს, ეს გამორიცხულია!

**— თუ დოკუმენტები არ არსებობს, რაზე დაყრდნობით საუბრობთ?**

— მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ შეისწავლონ ფულის გადარიცხვები და ყველაფერი ნათელი გახდება. ჩემი ძველი კოლეგები მიყვებოდნენ, ფულის გადარიცხვა გვიწევს რაღაც მშენებლობებზე, ისე რომ, გადარიცხვის საფუძველი არ არსებობსო.

**— რატომ არ ინტერესდება ამ თემით ამჟამინდელი ხელისუფლება?**

— ორი მიზეზი არსებობს. პირველი — სტრუქტურებში ის ადამიანები არიან დარჩენილი, რომლებიც ამას უშუალოდ აკეთებდნენ. მეორე მიზეზი კი არის ის, რომ მოხდა ე.წ. „სიმბიოზი.“ არჩილ კბილაშვილი რომ სუფთა ადამიანიაა, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ჩემთან ხმები კი მოდიოდა, იმ ბიზნესმენს, რომელსაც ევალებოდა „ობშჩიაკში“ ფულის გადარიცხვა და ვის სახელზეც იყო გაფორმებული ბიზნესი, იბარებდნენ პროკურატურაში და ეუბნებოდნენ: ამ შენს ბიზნესს „გადაწერ“ შენს ცოლისძმაზე, კიდევ 5 მილიონს შეიტან და მერე უკვე „ჩახსნილი“ ხარო. მაგრამ ეს „ობშჩიაკი“ არა „ქართული ოცნების“, არამედ კერძო პირებისაა. შედეგი არის ის, რომ 2012 წლის 21 ოქტომბრიდან, როცა პარლამენტმა სცნო თავისი უფლებამოსილება და გავლილია თითქმის წელიწადი და სამი თვე, უნდა ვაღიაროთ, რომ პრინციპული ძვრა ამ კუთხით არ არის და ის ადამიანები, რომლებიც ამ დანაშაულს ჩადიოდნენ, ისევ დაუსჯელები არიან.

**დიანა ლიპარტელიანი,**
**reportiori.ge**

**◉ ვიდეომასალები**

# „საქართველო იშვიათი ქვეყანაა, რომელიც სამხილებს ანადგურებს“

**ფარულ ვიდეომასალებში პირადი ცხოვრების ამსახველი ინტიმური ხასიათის კადრები აღმოჩნდა. ახლადაღმოჩენილი ფარული ჩანაწერები 31 იანვარს საჯაროდ განადგურდება. გადაწყვეტილება უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის სხდომაზე იქნა მიღებული. სულ აღმოჩენილია ორი დისკი, რომელიც ინტიმურ სცენებს ასახავს. შსს-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თამარ ქალდანის განცხადებით, ვიდეომასალებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი განადგურდება, რომლებიც ინტიმური ხასიათის მასალებს შეიცავს.**

როგორც ცნობილია, შსს-მ პირად ცხოვრების ამსახველი 110 დისკი 2013 წლის 5 სექტემბერს გაანადგურა. დარჩენილი 24 ათასი ფაილიდან, შსს-მ მოახდინა მასალის მობილიზება, გადამუშავება, რათა გარკვეულიყო, ხომ არ შეიცავდა ინტიმური ხასიათის ინფორმაციას. ქალდანის ინფორმაციით, მასალა დახარისხებულია და გამოყოფილია, რა არის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი და რა არის გასანადგურებელი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გამო. მასალის ძირითადი ნაწილი საგამოძიებო ორგანოების ხელში იქნება, რათა გამოძიება დაიწყოს.

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის სხდომა შსს-ში სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. კომისია საზოგადოებას ანგარიშს 31 იანვარს წარუდგენს. ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით კომისია გასული წლის 14 ივნისს შეიქმნა, რომელსაც იმდროინდელი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა. კომისიის შემადგენლობაში არიან როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველი.

შს მინისტრის მოადგილის **ლევან იზორიას** განცხადებით, კომისიაზე მათ მოისმინეს კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგები, რაც კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ უკანონო მოსმენებს წინა ხელისუფლების პირობებში სისტემური ხასიათი ჰქონდა.

**„დაახლოებით საუბარია 635 დისკზე, რომლებიც 750 საათამდე ინფორმაციას მოიცავს და რომლებიც სწორედ პოლიტიკური ნიშნით, პოლიტიკურ ოპონენტზე უკანონო თვალთვალს, მის პირად ცხოვრებაზე ინფორმაციას მოიცავს. ეს ინფორმაციები დეტალურად მოისმინა სწორედ ამ სამუშაო ჯგუფმა ასევე გადაწყვეტილებაა მიღებული, რომ ფართო ანგარიში მომზადდება საჯაროდ საზოგადოებისთვის და ამის პრეზენტაციაც მოხდება 31 იანვარს.**

**31-ში იწურება კომისიის მუშაობა, ეს მასალა კი ბუნებრივია, შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა პროკურატურას და დაიწყება გამოძიება, ხოლო ის ორი დისკი, რომელიც ინტიმურ სცენებს ასახავს, განადგურდება, როგორც ის 110 დისკი, რომლებიც 5 სექტემბერს განადგურდა. აქვე მინდა ორი რამ ერთმანეთისგან გავმიჯნო, რომ ეს საზოგადოებისთვის თვალნათელი იყოს.**

**კერძოდ, თუ რატომ განადგურდა მაშინ ის დისკები დაუყოვნებლივ და რატომ იწყება გამოძება ამ დისკებზე. საქმე ისაა, რომ ის დისკები და მათ შორის, ეს ორი ახლადაღმოჩენილი დისკი, შეეხება ისეთ ინტიმურ სცენებს, რომელიც ამ შემთხვევაში დაზარალებულის ღირსებას შეეხება“,** — განაცხადა ლევან იზორიამ.

ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებასა და დამკვეთების დასჯას ითხოვს, არასამთავრობო სექტორი. მათივე განცხადებით, ამ ეტაპზე ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რა პერიოდი დასჭირდება გამოძიებას, რომ დაადგინოს იმ პირთა წრე,



ვინც კონკრეტულად აღასრულებდა და ქმნიდა ამ არქივს, მეორეს მხრივ დაადგინონ იმ პირთა წრე, რომლებიც ბრძანებებს გასცემდა და მართავდა ამ პროცესებს, ვისი იდეაც იყო ასეთი ტიპის მეთოდების გამოყენება და ჩანაწერების გაკეთება.

კახი კახიშვილის შეფასებით საქმეზეა ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები და გამოძიება იმ ადამიანებზე უნდა გავიდეს, რომლებმაც დანერგეს სისტემა, რაც ადამიანების შანტაჟს ემსახურებოდა. მისვე თქმით, წლების განმავლობაში ამ მასალების შეგროვება პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა.

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის აზრით, ის ფარული ჩანაწერები, რომელმაც შესაძლოა, სისხლის სამართლის დანაშაულზე გაგვიყვანოს, არ უნდა განადგურდეს. როგორც მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, დანაშაულის მამტკიცებელი ვიდეომასალის განადგურება, თავის მხრივ, უკვე დანაშაულის ჩადენა იქნება. პრეზიდენტის აზრით, შესაძლოა, განადგურებულ იქნას ისეთი ვიდეომასალები, სადაც მხოლოდ ის ფაქტებია ასახული, რაც გვაბრუნებს ძველ დროში, როცა ადამიანებს აწამებდნენ.

საკითხის სირთულეზე საუბრობს აშშ-ის ელჩი საქართველოში **რიჩარდ ნორლანდი**, რომლის განცხადებით, ფარული ჩანაწერების საკითხების შემსწავლელი კომისია რთული ამოცანის წინაშე დგას, ვინაიდან უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერები მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა გამოძიებისთვის.

**„საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც უკანონოდ მოპოვებული ვიდეომასალის განადგურების შესაძლებლობას განიხილავს. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ეს მასალები ხშირ შემთხვევაში უკანონოდ იყო მოპოვებული, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი მტკიცებულება გამოძიებისთვის, რომელიც შეიძლება ჩატარდეს შესაძლო კრიმინალურ ქმედებაზე.**

**კომისიის წინაშე ძალიან რთული ამოცანა დგას. მათ მოუწევთ ამ თემების დაბალანსება, მაგრამ საბოლოო ჯამში, საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი აქვს გადადგმული წინ იმ მხრივ, რომ იქნება ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანა, რომელიც ფარულ ჩანაწერებს გაანადგურებს მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის“,** — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

უკანონო თვალთვალის ფაქტების გამოძიებას ითხოვს სახალხო დამცველი. უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ ფარული ჩანაწერები არ უნდა განადგურდეს იმ ფორმით, რომ ხელი შეეშალოს გამოძიების ინტერესებს.

**თამთა ქარჩავა**

**◉ ალიან-ჩალიანი**



## საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია ოლიმპიადის მასპინძლის მიერ

**ჩემთვის აღმაშფოთებელია, დასავლელი ლიდერების განცხადებებით, რომ არ წავლენ სოჭში, მაგრამ არ ახსენებენ, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია ოლიმპიური თამაშების მასპინძლის მიერ, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილმა თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ გუშინ, თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ბრაიზას თქმით, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ის სტრატეგიული საკითხების განხილვას გეგმავს.**

**— მე აქ იმისთვის ვიმყოფები, რომ სტრატეგიული საკითხები შევისწავლო, განსაკუთრებით სოჭის ოლიმპიური თამაშების კონტექსტში. ვიმედოვნებ, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშები იქცევა შესაძლებლობად, სადაც ევროატლანტიკური ქვეყნების ლიდერები კიდევ ერთხელ შეხედავენ საქართველოს კონფლიქტებს და ამის თაობაზე რამე გადაწყვეტილებას მიიღებენ და მხოლოდ ჟენევის ფორმატში არ დარჩება საკითხის განხილვა. ეს კი საბოლოოდ რუსეთისთვისაც იქნება კარგი, რადგან სანამ კონფლიქტები გადაუწყვეტელია, წარმოუდგენელია სტაბილურობა კავკასიაში, — განაცხადა ბრაიზამ.**

**ინტერპრესი**

სოფელი

# როცა გლეხს ხელისუფლება მხარში უდგას

**ნაციონალების ცხრაწლიანი არასათანადო სახელმწიფო მოღვაწეობის დასახასიათებლად მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობაც კმარა. წარმოჩენილია მწარეზე მწარე ფაქტი: პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა დღეს მის მომხმარებლად ქცეულა. როცა საქართველოში კიტრი და პომიდორი უცხოეთიდან შემოდის, რა სიკეთეზე შეიძლება საუბარი...**

ბიძინა ივანიშვილის გუნდი ხელისუფლების სათავეში მოვიდა თუ არა, მაშინვე სოფელს მიუტრიალდა და სათანადო ფინანსური დახმარებაც აღმოუჩინა... საინტერესოა, როგორ განხორციელდა ეს დახმარება თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, როგორია წარმატებები, ან რა ნაკლოვანებანი შეიმჩნევა სახელისუფლებო მხარდაჭერის პრაქტიკულ გატარებაში.

მაგრამ ჯერ 2013 წლის დადებით შედეგებზე მოგახსენებთ. თიანეთის რაიონში 2012 წელს, ანუ ძველი ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ 786 ჰექტარი იყო დამუშავებული; ხოლო 2013 წელს, ხელისუფლების მიერ ფულადი დახმარების პირობებში, დამუშავდა 2000 ჰექტარი, ანუ თითქმის სამჯერ მეტი. მოსავალმაც გაამართლა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღებულია: 2300 ტონა სიმინდი, 181 ტონა ლობიო, 6300 ტონა კარტოფილი, 285 ტონა ხორბალი. რომ არა ძლიერი სეტყვა სოფლების: ნაქალაქარის, ღულელების, ზარიძეებისა და არტნის ტერიტორიაზე, მოსავალი ბევრად მეტი იქნებოდა. ეს საერთო მოსავალი შეიძლება ითქვას, დიდი არაა, მაგრამ საუკეთესო ხარისხისაა, ეკოლოგიურად სუფთაა და მარგებელი. მოსავლიანობის ზრდასთან ერთად იმატა მეცხოველეობის სულადობამაც, კერძოდ 10.630 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ. რაც შეეხება წვრილფეხა პირუტყვს: ცხვარი 8900 სულია, ღორი – 2325, თხა 205.

აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი წლის შემდეგ რაიონში შარშან პირველად ჩატარდა ცხოველთა დაავადების – თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. შინაური ცხოველები აიცრა აგრეთვე, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით.

იმისთვის, რომ რაიონს უკეთესი შედეგები ჰქონდეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თიანეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მუშაკები აცხადებენ, რომ საჭიროა 2014 წელს დროულად განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობამ საჯარო აღრიცხვაში უნდა გაატაროს სახნავ-სათესი ფართობი, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს კერძო საკუთრებაში არსებული ტექნიკა; უფრო სწრაფად და ორგანიზებულად ჩამოყალიბდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რაც შესაძლებელს გახდის მეტი ფართობის ათვისებას.

სოფლად შარშან დაწყებული ტრადიცია გრძელდება და მტკიცდება: საქართველოს ხელისუფლება წელსაც მხარში ამოუდგება სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მშრომელ გლეხებს, კვლავაც გააგრძელებენ სათანადო საფინანსო დახმარებას. თიანეთელი მხვნელ-მთესველები მხარს უჭერენ მთავრობას და ფიქრობენ შარშანდელზე უკეთესი მიღწევებით აღნიშნონ ახალი, 2014 წელი.

**ხუთისავარ არჩემაშვილი.**
ჩვენი სპეც. კორ. დ. თიანეთი

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● **მე ის მიკვირს, რომ თქვენ გიკვირთ ამ ვიდეოს არსებობა!**

Святая наивность.

**აფექტურ მდგომარეობაში როგორ იძლევა ზაკაზს გვამებზე და ახლა წარმოიდგინეთ ესენი, წყნარად კაბინეტში რომ დაჯდებოდნენ, როგორ ალაგებდნენ სხვადასხვა სიტუაციებს... დინჯად...!!!**

● **აგერ ძმებო. ამაზე დიდი მტკიცებულება რა გინდათ? ჩაუტარე კადრებს ექსპერტიზა და დააპატიმრე ყველა ესენი. აგერ ვწერ, რომ ოცნება არც ამ საქმის გამომძიებელი არ არის. თუ გამტყუნდება, ჩემი ნათქვამი მევე გამიხარდება. ასე დაიგეგმა ყველა ოპერაცია. გაიგე ბიძინა, რომ მთავრობა გასვარე კოაბიტაციაში? ეს დანაშაულია და არა შეცდომა. ორი გვამი ჭირდებოდათ გველებს. ასე დაჭირდათ 26 მაისს იმ პოლიციელის გვამიც.**

● **ტელევიზორში ბენდუქიძე გამოჩნდა, ცოტა ხანში, იქვე, ხადური და – ნახე, ნახე, უკვე ეწევა ზომაშიო – ჩემმა თანამაყურებელმა.**

● **ოქრუა და ქარელი დაპირისპირებულან. ისტორიაში შევა ალბათ როგორც დევგმირისა და აზრის გიგანტის დაპირისპირება, არადა, წუხელ მაყვალა კორდინატორს ნასვამზე ერთხელაც ვაგინე. ამაზე რატომ არ წერთ, ნაკლებ აქტუალურია თუ რა?**

● **მანდატურებიც უმცირესობა არიან?**

● **მერაბიშვილი სიცრუის დეტექტორზე შემოწმებას მოითხოვს, სიცრუის დეტექტორი კი უარს აცხადებს ვანოს შემოწმებაზე.**

● **საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე გახდა რუსეთი!**

**რესპუბლიკელებო და სხვა სექტანტებო, ყველა მსგავს საკითხზე მიმართეთ რუსეთის ხელისუფლებას და ჩემს ფულს თავი დაანებეთ!**




● **სევდია წუხს, უგულავას და ლელა კილაძის ბოტოქსის თანხა რომ შემცირდა!**

**აბა თვითონ სევდიას აწი ბოტოქსი კი არა, ურანის და პალადიუმის შენაერთი ველარ უშველის!**

● **ფრენკ სინატრას მაი ვეიზე თვალები რო აგიწყლიანდება – ტი უჟე ვასაკე.**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

რეპლიკა

## ხელისუფალნო, ასე რამ შეგაყვარათ კოჰაბიტაცია?

**ნუთუ კოჰაბიტაცია სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმას გულისხმობს? ნუთუ არ იცით, რომ დამნაშავის დაუსჯელობა უფრო დიდი დანაშაულია? ასევე – საპასუხისმგებლო ადგილებზე ზონდერების დანიშვნა, ან კიდევ გია ბარამიძის 92 ხმით პარლამენტის სპიკერის მოადგილედ არჩევა?**

დამნაშავეთა უსასრულო ჩვენება, მათი უტიფარი გამოსვლების ტელევიზიით მოსმენაც კოჰაბიტაციის მოთხოვნაა? ნუთუ აგრძელებთ ძველი ხელისუფლების ნაცად პოლიტიკას – ადამიანთა ღირსების შელახვას? ბრმად ნუ იზიარებთ დასავლელი პოლიტიკოსების სრულიად გაუგებარ მოთხოვნებს!

აღადგინეთ სამართლიანობა!

**ლონდა მდივანი**

ამინდი

## 1-2 თებერვალს საქართველოს ზოგიერთ რაიონში ძლიერი ქარია მოსალოდნელი

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, ზემო იმერეთში და გორი-სურამის მონაკვეთზე აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი იქროლებს. 2 თებერვლიდან, აღნიშნულ რეგიონებში, ქარის სიჩქარემ, დროგამოშვებით, შეიძლება 30მ/წმ-ს გადააჭარბოს.**

**მათივე ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე დაიწყო ხმელთაშუა ზღვიდან შავი ზღვის გავლით გადმონაცვლებული შედარებით თბილი და ნოტიო, ხოლო კასპიის ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთიდან დაშვებული ცივი ჰაერის მასების ურთიერთქმედება, რამაც ნალექები, მთასა და მაღალ მთაში თოვა გამოიწვია. გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო საავტომობილო გზა ჩაიკეტა.**

**დღეს, დღის მეორე ნახევრიდან, აღმოსავლეთ საქართველოს ბარშიც წვიმა თანდათან თოვლში გადავა.**

**1 თებერვლიდან ნალექი ძირითადად შეწყდება, მაგრამ ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 10-15 გრადუსით დაიწევს.**

**ინტერპრესი**

მკითხველი ითხოვს...

## სად გაქრა ტელეფონების წიგნი?

**„საზიზღარი კომუნისტების“ ეპოქაში, თითოეული თბილისელის ოჯახში შენიშნავდით საკმაოდ სქელტანიან ტელეფონის წიგნს, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა თითოეულ ჩვენგანს. მათი საშუალებით, მყისვე შეგვეძლო ნებისმიერი აბონენტი მოგვეძებნა და თავი აგვერიდებინა 09-ს მომსახურებისთვის. კიდევ მეტიც, მსგავსი წიგნები ქალაქში დამონტაჟებულ სატელეფონო ჯიხურებშიც იყო ჩამოკიდებული.**

ვიცი ბევრი მკითხველი დამეთანხმება ასეთი წიგნის არსებობის აუცილებლობაში. ზოგს კი მიაჩნია, რომ უნდა ვისარგებლოთ ქალაქის ცნობათა ბიუროს მომსახურებით, რომელიც ფასიანია. იქნებ ჯობდეს, მერიის შესაბამისმა სამსახურმა იზრუნოს სატელეფონო წიგნის დიდი ტირაჟით გამოშვებაზე და თბილისელებს სიურპრიზი შესთავაზოს.

**შალვა ქირია,**
**ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი.**


# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი” 2014 წლის 31 იანვრიდან აცხადებს აუქციონს 60 ტონა შავი ლითონის ბურბუშელას და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე 13 მ$^2$ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.12.01.003.110) რეალიზაციის შესახებ.

**ლოტი №1:**

**შავი ლითონის ბურბუშელას ჯართი** – სავარაუდოდ 60 ტ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 130 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №2:**

**არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მქონე 13 მ$^2$ მიწის ნაკვეთი** (საკადასტრო კოდი 01.12.01.003.110) – 1 მ$^2$ საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 50 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;

ორივე ლოტზე სააუქციონო ბიჯი შეადგენს 1 აშშ დოლარს.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე” (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account:** Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი”, მიმღების ანგარიშის ნომერი **GE**59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე” არ დაუბრუნდება.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმე დღეების გარდა, $10^{00}$ – დან $15^{00}$ – საათამდე (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2014 წლის 12 თებერვალს $15^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული, ოთახი №313.

**აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:
ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 77 43 47 42, 5 77 55 10 34, 5 77 003 707

**სს „ელმავალმშენებელის” მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გაჩნდა ეჭვი, რომ საქართველოს ექსპრემიერმა მკვლელობა შეუკვეთა

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 30 იანვარს დაიწყო წინა საღამოს სოციალურ ქსელში გაჩენილი იმ კადრების აუტენტობის შემოწმება, რომლებიც ასახავენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი ჩინოსნების მზადებას 2009 წლის 5 მაისის ჯავშანსატანკო ბატალიონის ამბოხებისთვის მუხროვანის სამხედრო ბაზაზე თბილისის მახლობლად.** სურათზე მოჩანს, თუ როგორ ატარებს ოპერატიულ თათბირს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ივანე მერაბიშვილი, რომელიც მოგვიანებით ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ხელმძღვანელი გახდა. მკაფიოდ ისმის მისი ბრძანება: **„მე მჭირდება ორი, მე მჭირდება ორი გვამი, მომიტანეთ ეს ორი გვამი. მორჩა. პრემია დიდია!“**. საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მოუწოდა საგამოძიებო ორგანოებს დაწვრილებით გამოიძიონ სკანდალური ვიდეოჩანაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, ოპერატიული გადაღება იყო.

**— თუ აუტენტურობა დადასტურდება, გამოვა, რომ საქმე გვაქვს მერაბიშვილის პირდაპირ ბრძანებასთან ლიკვიდაციაზე,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა.

მისი სიტყვებით, **„ეს ფაქტობრივად არის დაკვეთა მკვლელობაზე“**. მერაბიშვილი უკვე რვა თვეზე მეტია დაცვის ქვეშაა. ხოლო წაყენებული ბრალდებების კომპლექსისთვის მას უკვე ემუქრება 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

**2009 წლის სამხედრო ამბოხებამ, რომლის ორგანიზაციაშიც თბილისი ბრალს სდებდა მოსკოვს, კვლავ შეიძინა აქტუალობა**

**— სახელმწიფომ მაშინ მიიღო გადაწყვეტილება დაეკავებინათ ამბოხების ორგანიზატორები, რომლებსაც შეეძლოთ გაეწიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა, და ამასთან დაკავშირებით ყოველგვარი მოსაზრებანი — სპეკულაციაა,** — განაცხადა დეპუტატმა სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ნუგზარ წიკლაურმა.

**2009 წელს საქართველოში მიმდინარეობდა მასშტაბური აქციები სააკაშვილის წინააღმდეგ. მუხროვანის ნაწილის სამხედროები ყვებიან, რომ არ აპირებდნენ მიერთებოდნენ, მით უმეტეს იარაღით, ოპოზიციას, მაგრამ არ მალავდნენ უკმაყოფილებას მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკით. კერძოდ, ოფიცერები აშკარად აცხადებდნენ იმის შესახებ, რომ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმის გამართვა 2008 წლის აგვისტოში შეიარაღებულ კონფლიქტში დამარცხების შემდეგ არ იყო მიზანშეწონილი. მაშინდელი ქართული ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ მოვლენები მუხროვანში გახდა ემოციების გამოვლენა სამხედროებს შორის, რომლებიც, თითქოსდა, უარს აცხადებდნენ დაეშალათ საპროტესტო აქცია თბილისში.**

**საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ იმავე დღეს, 2009 წლის 5 მაისს განაცხადა, რომ ამბოხი ინსპირირებული იყო რუსეთიდან. მოსკოვმა ეს ბრალდებები დაუყოვნებლივ უარყო.**

**შედეგად სამხედროებმა შეწყვიტეს პროტესტი. რამდენიმე სამხედრო ხელმძღვანელმა დატოვა ბაზა და მიიმალა.**

**რამდენიმე დღის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში დახვრიტეს პოლკოვნიკი გიორგი კრიალაშვილი და მძიმედ დაჭრეს კიდევ ორი არმიელი ოფიცერი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ბუნტში მონაწილეობაზე — პოლკოვნიკი კობა ოთანაძე და მაიორი ლევან ამირიძე. ეს ორი უკანასკნელი მკურნალობის შემდეგ გაასამართლეს და მიუსაჯეს ხანგრძლივი პატიმრობა და 2012 წლის ბოლოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაათავისუფლეს.**

**30 იანვარს ოთანაძემ და ამირიძემ განაცხადეს, რომ, მათი მონაცემებით, სპეციალური ოპერაციის მონაწილეებმა მათ წინააღმდეგ მიიღეს სოლიდური ფულადი ჯილდო. მათ ეს ჯილდო მიიღეს, ვინაიდან საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო იყო მუხროვანის მოვლენების საერთაშორისო რეზონანსი, ვინაიდან ერთი დღის შემდეგ ქვეყანაში იწყებოდა სამეთაუროსაშტაბო და სამხედრო-საველე სწავლებები ნატოს ეგიდით.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◉ რამ გამოიწვია ტონის გამწვავება?

# ჩათრევას ჩაყოლა სჯობს!..

**პრეზიდენტის და პრემიერის ტონი რუსეთის მიმართ უფრო გამკაცრდა. გვახსოვს პერიოდი, როცა ქართული მხარე თავშეკავებით ხვდებოდა რუსეთის მხრიდან გამოვლენილ პერიოდულ აგრესიას. ასე მოხდა დიცსა და დვანში სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოების განახლებისას. მაშინ ექსპერტების ნაწილი რუსეთთან არჩეული პოლიტიკის გადახედვისკენ მოუწოდებდა ახალ ხელისუფლებას.**

პოლიტიკურ ოპონენტებს არც ის გამოჰპარვიათ, რომ საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტს რუსეთის ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში არ უხსენებია სიტყვა „ოკუპაცია“ და ყურადღება არ გაუმახვილებია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გაბმის პროცესსა თუ დევნილების პრობლემატიკაზე.

დღეს კი პოზიცია განსხვავებულია. პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე ყოფნისას ამერიკულ ტელეკომპანიასთან საუბრისას აცხადებს: **„ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის, რადგან ეს ევროპული ქვეყნების, აშშ-სა და სხვა ქვეყნების ნომერ პირველი რეკომენდაცია იყო“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მანვე რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ წელს განხორციელებულ პროვოკაციებზეც ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი საქართველოს ევროპულ არჩევანს ვერ შეაცვლევინებს. თუმცა, პრემიერი არ მალავს, რომ საქართველო რუსეთისგან პოლიტიკურ პროვოკაციებს ახლაც და მომავალშიც მოელის.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, მანაც შეშფოთება გამოთქვა სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების მოტივით რუსეთის მიერ საქართველოსთან შეუთანხმებლად ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში სასაზღვრო ზოლის 11 კილომეტრით გაფართოების გამო.

მისი თქმით, მაშინ, როდესაც რუსეთი ამ ტერიტორიაზე ფლობს ფაქტობრივად სრულ სამხედრო კონტროლს, მისი ქმედება არ არის უბრალოდ ტექნიკური ნაბიჯი და მას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ამიტომ პრეზიდენტ მარგველაშვილს მიაჩნია, რომ ეს ფაქტი არ უნდა დარჩეს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების გარეშე.

აქვე იგი გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, რომლის თანახმადაც, მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობის განვითარებას ის აფერხებს, რომ საქართველო 2008 წლის ომის შემდეგ შექმნილ რეალობას არ აღიარებს. ამის საპასუხოდ გიორგი მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს არც ერთი მოქალაქე და არც ერთი ხელისუფლება არ შეეგუება ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას.




რით აიხსნება ქართველ ხელისუფალთა ტონის ცვლილება და რა წილი აქვს ამ საქმეში უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს?!

„ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ, უბრალოდ, გამოჩნდა ისეთი საკითხები, რომელზედაც რეაგირება აუცილებელი იყო. თუმცა, მკვეთრი განცხადება პარლამენტსაც უნდა გაეკეთებინა.

**„ეს არ არის საკმარისი, უბრალოდ, ინტერვიუში გამოთქმა აზრის, რომ ეს არ მოგვწონს, რომ რუსეთმა ეს გააკეთა... ვფიქრობ, აქ შეიძლებოდა უფრო მკვეთრი ოფიციალური განაცხადის გაკეთება, საპროტესტო ნოტის გაგზავნა შეიძლებოდა შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით. მე მგონი, ჯერ კიდევ დაბნეულობაა იმის გამო, რომ რუსეთმა ამ ორმხრივ საუბარში ჩაგვითრია, მაგრამ, ამავე დროს, ორმხრივ საუბარში დიდი მიღწევების იმედი არ შეიძლება გვქონდეს. სამაგიეროდ, გვაქვს ვალდებულებები, მაპროვოცირებელი განცხადებები არ გავაკეთოთ და ვაპატიოთ ერთმანეთს. მე მგონი, ბლანტ სიტუაციაში ვხვდებით, სადაც გვიჭირს მკვეთრი მოძრაობები“,** - აღნიშნა კახა გოგოლაშვილმა For.ge-სთან საუბარში.

ამასთან, ექსპერტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ უკრაინის მოვლენები ამძაფრებს მდგომარეობას და გარკვეულ ფონს ქმნის, რომელშიც მეტად არის შესაძლებელი რუსეთის კრიტიკა და ეს საქმე ნაკლებად სარისკოა. იგი მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა დაიმსახუროს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება ამ ფაქტმა, მაგრამ მანამდე უნდა მოვთხოვოთ ჩვენს მთავრობას და პარლამენტს, უფრო ადეკვატური რეაგირება მოახდინონ ან უნდა მოეხდინათ ამ ფაქტზე.

**„კაზაკები რომ დადიან გალის რაიონში, ანუ სხვა ქვეყნის ნახევრად გასამხედროებული დაჯგუფებები გადაადგილდებიან შენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში, არანაირ ნორმებში არ ჯდება. ზედმეტი თავხედობაა. აქაც არ იყო ისეთი მწვავე რეაგირება, ანუ ჩვენი პოლიტიკა მთლიანობაში რუსეთთან ურთიერთობაში დამთმობ პოზიციაშია. თუ ჩვენ რაღაც პოლიტიკური შორს მიმავალი მიზნები გვაქვს (იგივე ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა ან რაიმე სხვა) და გვეშინია, რომ ეს გეგმები საფრთხის ქვეშ არ აღმოჩნდეს, მაშინ შეიძლება გამართლებულიც იყოს, რომ რუსეთის პროვოცირება არ მოვახდინოთ, თუმცა, ამ პროცესს კარგი მენეჯმენტი სჭირდება, რომ კითხვები არ იბადებოდეს“.**

ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის აზრით, პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც აჟღერებს მკაფიო პოზიციას იმ სრულიად არაადეკვატური ნაბიჯის მიმართ, რასაც ჰქვია 11 კილომეტრით შემოჭრა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიის გარუსება.

**„იქნება ეს 21 მარტამდე თუ უფრო ხანგრძლივად, ამაზე რეაგირება დროული უნდა ყოფილიყო და ასეც იქცევა საქართველოს ხელისუფლება. ახლა უფრო მკაფიო იქნება საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, თუ რასთან გვაქვს საქმე, სრულიად უდიერ უპატივცემულობასთან საქართველოს მიმართ და აბუჩად აგდებად საერთაშორისო კანონმდებლობისა. რასაკვირველია, ჩვენს განწყობებზე მოქმედებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიც და უნდა ვეცადოთ ეს პოზიცია შენარჩუნებული იყოს, თუმცა, არა რაიმე მუქარის ტონით. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს გასავლელი ევროპამდე“,** — გვითხრა სოსო ცისკარიშვილმა.

საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძე თვლის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი რეალურად აფასებს ვითარებას, როცა საუბრობს, რომ შესაძლებელია, განხორციელდეს გარკვეული პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტების მიზნით.

მანვე განმარტა, რომ უკრაინის პროცესებმა ქართველ ხელისუფალთა ტონზე გარკვეული ასახვა ჰპოვა, რადგან რუსეთი ცდილობს, ჩაერიოს უკრაინის შიდა საქმეებში და არ დაუშვას პროდასავლური ძალების გააქტიურება. უკრაინაზე ზეწოლასთან ერთად კი, შესაძლოა, გაძლიერდეს ზეწოლა საქართველოს მიმართულებით, ოღონდ სხვა კუთხით. კერძოდ, პროვოკაციების მოწყობით საქართველოს ოკუპირებული ზონების სიახლოვეს, ანტიდასავლური ძალების წახალისებით საქართველოში და სხვა.

**მარიამ ლოლაშვილი**

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თავისი საპრეზიდენტო გეგმების შესახებ განაცხადა**

„შემიძლია მოვკვდე ბედნიერად, რომ ვერასოდეს გავხდი პრეზიდენტი“, — ამბობდა ადრე პოლიტიკოსი. მაგრამ ახლა აღიარა, რომ „გულში ღრმად არის დარწმუნებული“, რომ შეეძლო გამხდარიყო ამერიკის შეერთებული შტატების კარგი მეთაური. თუ საბოლოო გადაწყვეტილება დადებითი იქნება, მას, ალბათ, მოუწევს ებრძოლოს ექსპრეზიდენტ კლინტონის მეუღლეს.

* * *

**ისრაელი სთხოვს რუსეთს, არ მიაწოდოს ირანს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები ს-300**



როგორც გაზეთმა „მაარივმა“ გამოიკვლია, ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ჯერ კიდევ სამი კვირის წინათ პირადად დაურეკა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს და სთხოვდა მას არ მიჰყიდონ თეირანს ეს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. ამ დღეებში კი მოსკოვში იმყოფებოდა მისი თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საქმეში.

* * *

**აშშ ამზადებს ახალ სანქციებს უკრაინელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ, მათ შორის ოპოზიციისაც. რუსეთი კი თავს იცავს თავდასხმელებისგან ევროპაში**



ადრე ამერიკის ხელისუფლებამ გააუქმა ზოგიერთი ჩინოვნიკის ვიზები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ძალის გამოყენებაში „ევრომაიდანის“ წინააღმდეგ. ახლა კი საფინანსო სანქციები ემუქრებათ არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს, არამედ პროტესტების ლიდერებსაც, თუ ძალადობა გაიზრდება. ამ დროს რუსეთი, რომელიც მუდმივად ბრალს სდებდა დასავლეთს უკრაინის საქმეების ჩარევაში, თავად ემზადება დაიცვას თავი ანალოგიური ბრალდებებისგან.

* * *

**პერუმ საბოლოოდ შეწყვიტა ტერიტორიული დავა ჩილესთან**

ამის შესახებ განაცხადა პერუს პრეზიდენტმა, რომელმაც ადრე ჰააგაში გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას „მშვიდობის გამარჯვება“ უწოდა. ზოგიერთმა მეთვალყურემ სასამართლო ვერდიქტს „სოლომონის გადაწყვეტილება“ უწოდა. ამ საქმეს ყურადღებით ადევნებდა თვალს ბოლივია, რომელსაც ასევე აქვს ტერიტორიული პრეტენზიები ჩილესადმი.





# „მხედრიონი“ — ბოროტების მხედრობა

**აუცილებელი წუთშესვენება: 1995 წლის 3 მარტს რუსთავში დატრიალებული ამბავი გ.გელაშვილისა და თ. ხაჩიშვილის მხრივ მხოლოდ ბოროტი ხულიგნობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება რომ არ იყო, ამას უმალ მიხვდა ყველა.**

ეს მაშველთა კორპუსის მიერ რესპუბლიკის საზოგადოების გამოწვევა იყო.

ძალის დემონსტრირება იყო.

„კუნთების თამაში“ იყო.

თორემ, სახელმწიფო მოხელესთან „საქმის გასარჩევად“, ერთი კაცის თავის გასატეხად და მაგიდაზე მუშტების საბრახუნოდ ორასი კბილებამდე შეიარაღებული კაცის წასვლა, მერიის ალყაში მოქცევა და „საცეცხლე მაღლობების“ დაპყრობა, მთელი ქალაქის დაფეთება და გადაკეტვა რა საჭირო იყო!

ბოლოს და ბოლოს, უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე თ.ხაჩიშვილი წინასწარ იმას მაინც დააზუსტებდა აგენტურული მონაცემებით, თავდასხმის მოსაგერიებელი „ომისთვის“ რუსთავი მზად რომ არ იყო.

ძალა ჰქონდათ და ერჩოდათ! სწორედ ამის საჩვენებლად იყო საჭირო მაინცდამაინც მთელი დივიზიით მიხტომა და დაწიოკება (სრულიად საქართველოს საყურადღებოდ!).

მაგრამ „დაშინების მარშმა“ საბოლოოდ ის შედეგი არ გამოიღო, რასაც მისი ორგანიზატორები ვარაუდობდნენ.

„დაშინების მარშს“ საზოგადოებრიობის ერთსულოვანი აღშფოთება მოჰყვა.

ორიოდ დღეში რუსთავში, იმავე შენობაში დიდი შეკრება გაიმართა, რომელსაც სახელმწიფოს მეთაურიც ესწრებოდა. ხალხმა პირველად, საჯაროდ (მოკრძალებით, მაგრამ მაინც) გამოხატა თავისი დამოკიდებულება იარაღიანთა თარეშზე საერთოდ და მაშველთა კორპუსზე — კერძოდ.

შეკრებაზე მყოფმა თემურ ხაჩიშვილმა, რომელიც 3 მარტს მდუმარედ წარმართავდა მოვლენებს, კლანჭები გამოაჩინა: უკმეხი, მუქარიანი რეპლიკა ისროლა — „რა შოუს მართავთ აქ“.

ისევ შეცდა. ამ რეპლიკამ ის ბოლო პატრუქი აანთო, რომელმაც მოგვიანებით სახალხო მრისხანება ააფეთქა.

შემდეგ იყო კახეთის აბობოქრება.

შემდეგ იყო სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება მაშველთა კორპუსის რაზმეულების წევრებისთვის იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევის შესახებ.

შემდეგ იყო გეგმაზომიერი შეტევა კრაზანების ბუდის მოსაშლელად.

* * *

დამნაშავეთა სამყაროს ზღვარდაუდებელმა თარეშმა მთელი სიმწვავით დააყენა გადამწყვეტი, გაბედული მოქმედების აუცილებლობა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კახეთის რეგიონში ფართომასშტაბიანი პროფილაქტიკური ღონისძიება განახორციელა.

ამ ოპერაციამ სერიოზული დარტყმა მიაყენა კრიმინალურ სამყაროს და ბევრს დაანახა, რომ უკანონობასა და ბოროტებას მომავალი არ გააჩნდა.

იმის შესახებ, რომ ყოველი სიავკაცის დასაყრდენი რეგიონში სწორედ „მაშველთა კორპუსის“ ბაზაზე შექმნილი ჯგუფები იყო, ხმამაღლა ითქვა 2 მაისს თელავში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა.

ითქვა კახური პირდაპირობით: სანამ ეს საეჭვო, არავისთვის საჭირო, ბანდიტ-მძარცველთა მომმრავლებელი ორგანიზაცია არ აილაგმება, ქვეყანა ვერ დალაგდებაო.

ითქვა ის, რაც მთლად გამოკვეთილად ვერ ითქვა ორი თვით ადრე რუსთავში გამართულ ასეთივე თათბირზე.

მაგრამ კახეთის „საძმო“ მაინც ვერ მიხვდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, რომ მაშველთა კორპუსი აღარ იყო ის ფარი, აქამდე რომ ასე გულდაგულ და ყოველმხრივ იფარავდა მის წიაღში თავშეფარებულთ.

ვერ მიხვდნენ, რადგან არც ჰქონდათ ამის მიხვედრა, დროის ცვალებადობაზე დაყურადების უნარი, მხოლოდ ძალადობაზე, ძარცვა-გლეჯაზე იყვნენ გამეცადინებული.

კახეთის მაშველთა კორპუსის რაზმის უფროსმა გ.შიოშვილმა, მისმა მოადგილემ მ.ქარსელაძემ, თელავისა და საგარეჯოს ჯგუფების უფროსებმა ო. ქუჯაიძემ და დ.ოთიაშვილმა აპრილის ბოლოს ინფორმაცია მიიღეს თბილისიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს უმოკლეს დროში კახეთში გადაუდებლად მოაწყოს ღონისძიება დამნაშავეობის წინააღმდეგო.

კახეთის მაშველთა კორპუსის ამ ორგანიზატორებმა და ხელმძღვანელებმა, თითოეულს არაერთი მძიმე დანაშაული რომ ჰქონდა ჩადენილი, გადაწყვიტეს თავისებურად „ემასპინძლათ“ არასასურველი სტუმრებისთვის, დაენახვებინათ, რომ კახეთს თავისი პატრონი ჰყავს, რომელიც იოლად არ დათმობს „საუფლისწულო მამულს“.

ისარგებლეს თავიანთი გავლენითა და თანამდებობრივი მდგომარეობით და „ქუდზე კაცი“ დაიბარეს — თელავში უხმეს კახეთის მაშველთა რაზმის და რეგიონული ჯგუფების წევრებს მთელი საბრძოლო აღჭურვილობით.

აღჭურვილი კი იყვნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, პისტოლეტებით, ტყიამფრქვევებით, საბრძოლო სადაზვერვო სამხედრო მანქანით, რომელზეც დამონტაჟებული იყო ტყვიამფრქვევი, „ნურსის“ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვების გასასროლი მოწყობილობა, სხვადასხვა საბრძოლო მასალით.

პოზიციები დაიკავეს და „საომრად“ მოემზადნენ.

რისი იმედი ჰქონდათ?

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ ჯგუფს დიდი დრო არ დასჭირვებია ამ წინააღმდეგობის დასაძლევად.

იმავე 4 მაისს, 17 საათისთვის ყველაფერი დამთავრდა.

„არმიამ“ იარაღი დაყარა და გაიფანტა. დააკავეს და განაიარაღეს 29 კაცი, მათ შორის მალხაზ ქარსელაძე, ოლეგ ქუჯაიძე და დავით ოთიაშვილი. გიორგი შიოშვილმა და რამდენიმე მსხვილმა დამნაშავემ მიმალვა მოახერხა.

ასე გამოეცალა საქართველოს მაშველთა კორპუსს („მხედრიონს“) ერთი დიდი საყრდენი — კახეთის სადროშო.

ჯაბა იოსელიანს მაღალი ტრიბუნიდან ხშირად განუცხადებია მაშველთა კორპუსის კეთილშობილური მიზნები: ხალხის გვერდში იმედად დგომა, ხელის შეშველება სტიქიურ უბედურებათა ჟამს!..

მაგრამ არც ერთი მათგანი ცეცხლსა და წყალში არ ჩამდგარა ვინმეს გულისთვის, თუმცა, სწორედ იმ პერიოდში იყო, თუ იყო ხანძრებიცა და წყალდიდობაც.

მაშველთა კორპუსი თვითონ იქცა საქართველოს სტიქიურ უბედურებად, ამ ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილმა მძლავრმა და ხალხმრავალმა ყაჩაღურმა ჯგუფებმა იმდენი ავნეს ქვეყანას, რამდენიც ვერარა ზვავ-მეწყერმა და ცეცხლმა ვერ ავნო.

მაგრამ კახეთის ფართომასშტაბიანმა ოპერაციამ მთელ რესპუბლიკაში ვერ ამოძირკვა ბოროტების ფესვები.

ცოტა მოთმინება კიდევ მართებდა ქვეყანას.

მაშველთა კორპუსს — „მხედრიონს“ საბოლოოდ უნდა გაეცა თავი.

ეს კი აუცილებლად მოხდებოდა.

## მკვლელობა გერმანულ სკოლასთან

თუ გახსოვთ, იმით დავიწყე, ტერორიზმი კაენიდან და აბელიდან იწყებს სათავეს, სამყაროსავით ძველია-მეთქი.

თუმცა, შეიძლება ძველი იყოს არა იმდენად ტერორიზმი, არამედ მისი წარმომშობი ძალადობა.

მაგრამ ეს არსს მაინცდამაინც არ ცვლის.

დამნაშავეობის ყველაზე საშიში გამოვლინება — ტერორიზმი, პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ძალადობით ანგარიშსწორება — დღევანდელი მსოფლიოს სასიკვდილო სენია.

ყველა ადამიანს აქვს ბუნებრივი სიკვდილის უფლება.

ამ უფლების წართმევა ღვთის წინაშე დანაშაულია.

კაცობრიობის ყველაზე დიდი საქმენი ისტორიაში სისხლით იწერებაო, ნათქვამია. მაგრამ ეს გამოთქმა ტერორიზმის „იდეურ გამართლებად“ არ გამოდგება.

ტერორიზმი დღევანდელი განათლებული მსოფლიოს სირცხვილად იქცა.

ტერორიზმის ბებიაქალი დაუსჯელობაა.

როცა სახელმწიფოში არც ერთი დანაშაული გაუხსნელი და დაუსჯელი არ დარჩება, როცა მთელი ძალით ამოქმედდება კანონი და მართლმსაჯულება, მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებით ებრძოლო ტერორიზმს.

1994-1995 წლებში საქართველოზე გადავლილ პოლტიკურ მკვლელობათა ტალღას სწორედ ის უწყება (უფრო სწორად ამ უწყების ხელმძღვანელები) გეგმავდა და წარმართავდა (აღმასრულებელთა ერთი ნაწილიც ამ უწყებიდან იყო), რომელსაც მასთან ბრძოლა ევალებოდა. ამიტომაც იმძლავრა იმ წლებში ძალადობამ ჩვენში. ამიტომაც უშედეგო იყო გამოძიება.

მაშველთა კორპუსის უზარმაზარი სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე ტერორისტულ ეპიზოდს აერთიანებს, ანუ იგი სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ერთი მთლიანი ჯაჭვია.

აი, ზოგიერთის ჩამონათვალი.

1994 წლის 20 აპრილს, სპეციალური ჩასაფრების შედეგად, შეუბრალებლად ჩაცხრილეს შინიდან სამსახურში მანქანით მიმავალი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალი გია გულუა. მასთან ერთად მოკლეს მანქანაში მსხდომი პოლიციის მუშაკები ე. ბახტაძე და ზ. კვიცინიძე.

1994 წლის 6 სექტემბერს სცადეს აეფეთქებინათ თბილისი-მოსკოვის №936 რეისის თვითმფრინავი, რომლითაც მიფრინავდნენ გენერლები გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი. სალონში უკვე შეტანილი ასაფეთქებელი მოწყობილობა შემთხვევით აღმოაჩინეს და გენერლებთან ერთად სიკვდილს გადაურჩა 164 მგზავრი.

1994 წლის 3 დეკემბერს თავის სახლთან მოკლეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჭანტურია.

1994 წლის 20 ივნისს დილით, სახლიდან გამოსვლისას მოკლეს ფონდ „დემოკრატიისა და აღორძინების“ პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძის მეგობარი სოლიკო ხაბეიშვილი და მისი მძღოლი ა. დალაქიშვილი.

იმავე დღეებში დაიგეგმა ს. ხაბეიშვილის პანაშვიდსა და დასაფლავებაზე მისვლისას სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის მოკვლა ლიფტში დამონტაჟებული მოწყობილობით, მოგვიანებით — „ადამიანი ბომბის“ საშუალებით. მაგრამ ვერც ერთი ვარიანტი ვერ განხორციელდა.

ედუარდ შევარდნაძეზე ტერორისტული თავდასხმა აღსრულდა 1995 წლის 29 აგვისტოს. ასეთია ზოგადი შტრიხებით 1990-იანი წლების ქართული ტერორიზმის არსი.

დასახელებულ კონკრეტულ ეპიზოდებთან ერთად იგი მოიცავს „მხედრიონის“ — მაშველთა კორპუსის სხვა მძიმე დანაშაულობათა სპექტრსაც.

„სხვა მძიმე დანაშაულობათა სპექტრსაც“-მეთქი, რადგან ზემორე დასახელებულთა უმრავლესობა სწორედ „მხედრიონზე“ მოდის, უშიშროების სამსახურის ზოგიერთ მუშაკთან ერთად.

ასეთია გამოძიების დასკვნა.

* * *

ამრიგად, ტერორისტული საქმე №1 — 1994 წლის 20 აპრილს თბილისში მოკლეს გენერალი გია გულუა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ-სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნამდე და შემდეგაც, გია გულუა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებაში და სერიოზული წინააღმდეგობების დაძლევა უხდებოდა.

დადგენილია: ჯერ კიდევ 1993 წლის ნოემბერში გ. გულუა „მხედრიონის“ მიერ მოოხრებულ ზუგდიდში ჩავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად. როცა სრული ინფორმაცია მიიღო ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონის სოფლებში (დარჩელი, ახალკახათი, ანაკლია), „მხედრიონის“ მიერ მოსახლეობის აწიოკებაზე, დაიბარა ჯ. იოსელიანის მიერ დანიშნული კომენდანტი ზ. პაიჭაძე და მისი მოადგილე ვ. ქრისტესიაშვილი და მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადა: „ეს რა მხეცობა ჩაგიდენიათ. თუ ქალაქს სასწრაფოდ არ დატოვებთ, ომს გამოგიცხადებთ, სუყველას ჩაგცხრილავთ და ზუგდიდში დაგმარხავთ!“

„მხედრიონმა“ დასახმარებლად ჯ. იოსელიანს სთხოვა ჩასვლა. ზუგდიდში ჩასულ ჯ. იოსელიანს გ. გულუამ უთხრა: „ჯაბა, შენ მე სამი დღით კვიპროსში გამგზავნე სპეციალურად, რათა ზუგდიდი გაგეძარცვათ. თუ შენი მხედრიონელები სასწრაფოდ არ დატოვებენ ქალაქს, ჩვენს შორის ომი ატყდება“.

ჯ. იოსელიანი და მისი თანამოსაგრეები მართლაც წავიდნენ ქალაქიდან (ამასთან, ალაფის გატანაც მოახერხეს).

მკვლელობამდე 2-3 თვით ადრე, როცა გია გულუა უკვე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და ტრანსპორტის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო, მასა და უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილეს თ. ხაჩიშვილს შორის მძაფრი სატელეფონო საუბარი გაიმართა. გ. გულუამ ხაჩიშვილს რაღაცაზე კატეგორიულად უპასუხა: „არა, მე ამას არ გავაკეთებ“. მოგვიანებით კი ამ საუბრის შემსწრეს გაანდო: „ძალიან დაიძაბა ურთიერთობა, მგლებივით მიყურებენ“.

**ალეკო ასლანიშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-20**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს გამომუშავებული ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 184 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 087 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 208,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 617 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტი უნდა დამუშავდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 189 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 974 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 297,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 795 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის №963 (მაგისტრალური მილსადენების დაცვის წესები და მათის დაცვის ზონები) ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად |

| | | |
|---|---|---|
| | | წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მენესოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. არაგვზე „არაგვისპირის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მენესოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 703 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 470,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 141 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო კაპანახჩის მიმდებარე ტერიტორია, „ქვემო კაპანახჩის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 104 800 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო კაპანახჩის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 14 052 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 405,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 010 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე; ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევის მიმდებარე ტერიტორია, მდ. კისისხევზე „კისისხევის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$ მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 164 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 22 084 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 208,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 617 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს |

| | | |
|---|---|---|
| | რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 6** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხრამზე „ხრამის“ (უბანი თამარისი) ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 57 300 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 180 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 818 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 836 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 7** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხრამზე „ხრამის“ ქვიშა, ხრეშის (უბანი თამარისი) საბადო (კატეგორია - $C_1$ +$C_2$ მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 166 200 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 22 285 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 228,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 657 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 8** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ |

| | | |
|---|---|---|
| | | დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე „ციხისძირის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 74 700 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 663 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 066,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2 333 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის №963 (მაგისტრალური მილსადენების დაცვის წესები და მათის დაცვის ზონები) ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოღლაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვარზე „დოღლაურის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 275 700 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოღლაურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 36 968 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 696,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 7 594 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. მატანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე „ალაზნის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 5 400 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. მატანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 939 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 93,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 388 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

„ერთა თასი“

# საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „შევარდენის“ ბაზაზე ღია ვარჯიში გამართა



**„შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა. „ბორჯღალოსნები“ „ერთა თასზე“ ხვალ ბელგიასთან გასამართი მატჩისთვის ემზადებიან. მათმა ახალზელანდიელმა თავკაცმა მილტონ ჰეიგმა მოახლოებული მატჩისთვის გაფართოებული 28-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, თუმცა, იძულებითი ცვლილების გაკეთება მაინც მოუხდა.**

ფრანგული „მონპელიეს“ და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა გორგოძემ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში ტრავმა მიიღო და ეროვნულ გუნდს ბელგიასთან და სტუმრად პორტუგალიასთან გასამართ შეხვედრებში გამოაკლდება. გორგოძემ „ბორდოსთან“ მატჩი სრულად ჩაატარა, თუმცა, ნამატჩევს ფეხის ტკივილი იგრძნო...

ჰეიგმა გორგოძის ნაცვლად შეკრებაზე „ლოკომოტივის“ მესამეხაზელ გივი ბერიშვილს უხმო. მანვე ნაკრებს მრავალმხრივი ვარჯიში ჩაუტარა და ბიჭები სხვადასხვა კომბინაციების დახვეწაზე ამუშავა. საქართველო — ბელგიის მატჩი ავჭალის სარაგბო სტადიონზე ხვალ, 15 საათზე დაიწყება. მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

**„ბორჯღალოსნების“ გაფართოებული შემადგენლობა**

1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ზურაბ ჟვანია, 3. ჯაბა ბრეგვაძე, 4. შალვა მამუკაშვილი, 5. ირაკლი მირცხულავა, 6. დავით ქუბრიაშვილი, 7. ლევან ჩილაჩავა, 8. ლევან დათუნაშვილი, 9. კოტე მიქაუტაძე, 10. გიორგი ნემსაძე, 11. გიორგი ჩხაიძე, 12. შალვა სუთიაშვილი, 13. გივი ბერიშვილი, 14. ვიტო კოლელიშვილი, 15. გიორგი თხილაიშვილი, 16. დიმა ბასილაია, 17. გიორგი ბეგაძე, 18. ვაჟა ხუციშვილი, 19. ლაშა ხმალაძე, 20. ლაშა მალაღურაძე, 21. მერაბ კვირიკაშვილი, 22. დავით კაჭარავა, 23. თედორე ზიბზიბაძე, 24. თამაზ მჭედლიძე, 25. ირაკლი მაჩხანელი, 26. გიორგი შკინინი, 27. მერაბ შარიქაძე, 28. ბექა წიკლაური.

**ბეჟან დოლიძე**

სეზონის სტარტზე



# ბილიარდში სტუდენტური ჩემპიონატი ჩატარდა

**ამ დღეებში კლუბ „რიოში“ გაიმართა საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატი ბილიარდის სახეობა „რვიანში“ ვაჟებსა და გოგონებს შორის.**

ტურნირში, რომელიც საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებითა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ბილიარდის ფედერაციის და კომპანია „ბილაინის“ მხარდაჭერით ჩატარდა, 15 უმაღლესი სასწავლებლის 50-მდე სტუდენტი მონაწილეობდა.

ვაჟებს შორის პულის ფინალში ერთმანეთს გიორგი კორძაია (სამედიცინო) და ლევან მამალაძე (სტუ) დაუპირისპირდნენ. ჩემპიონის ტიტული ლევან მამალაძემ მოიპოვა.

გოგონებს შორის ფინალში ერთმანეთს ეკა თორაძე (საქართველოს უნივერსიტეტი) და მარიამ დადაშიანი (სტუ) შეხვდნენ. გამარჯვება ეკა თორაძეს დარჩა.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის ლექსო გუგავას განცხადებით, ახალი სეზონი სტუდენტურ სპორტში სწორედ ბილიარდის ჩემპიონატით გაიხსნა, სამომავლოდ კი ფედერაციას არაერთი ტურნირის ორგანიზება აქვს დაგეგმილი.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# მინუს იტალია და გერმანია, პლუს – ყატარი

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, ხვალ ფიბა-ს ცენტრალური საბჭოს სხდომაზე იმ 4 ნაკრების ვინაობა გახდება ცნობილი, რომლებიც 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ე.წ. „ველურ ბარათებს“ მიიღებენ.**

**ფიბა-სთან საქმის მოკვარახჭინებას არაერთი კალათბურთის ფედერაცია ცდილობს, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ მათ შორის არ იქნებიან გერმანია და იტალია. მათ განაცხადის გამოტანა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ფინანსური დეტალების და პროცედურის ხასიათის შესახებ შეიტყვეს.**

მაგალითად, იტალიური ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანი პეტრუჩიმ აღნიშნა, რომ „უაილდ ქარდისთვის“ მათ 830 ათასი ევრო უნდა გადაეხადათ, რაც გაუმართლებელი ხარჯი იქნებოდა.

ფინანსური პრობლემები ნამდვილად არ აწუხებს ყატარის კალათბურთის ფედერაციას, რომელმაც „ველურ ბარათზე“ განაცხადი სწორედ ბოლო დღეებში შეიტანა და პრეტენდენტთა რიცხვი ცამეტამდე აიყვანა.

ყატარელთა გარდა, ფიბა-ს ვერდიქტს რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ისრაელი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, პოლონეთი, ფინეთი, ბრაზილია, კანადა, ჩინეთი, ნიგერია და ვენესუელა ელიან.

როგორც აღვნიშნეთ, „უაილდ ქარდის“ მფლობელთა ვინაობა 1 თებერვალს გაირკვევა, 3-ში კი უშუალოდ ფინალური ტურნირის წილისყრა შედგება, რომელშიც 24 ნაკრები იასპარეზებს.

ცნობისთვის, „ველური ბარათების“ სისტემა წლეულს ბოლოჯერ გამოიყენება. 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უკვე 32 გუნდი ითამაშებს, ხოლო შესარჩევი ტურნირი 18 თვის განმავლობაში წარიმართება.



**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# პრობლემები გერმანიის ქალთა სპორტში

**ახლა, მოდით, გერმანელ ქალებზე ვისაუბროთ... უფრო ზუსტად კი გერმანელ სპორტსმენ ქალებზე. თურმე ნუ იტყვით და გერმანიაში უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ნაკლებ მშობელს შეჰყავს თავიანთი გოგონები სპორტზე და ამის მიზეზი გერმანიაში ქალთა სპორტის პოპულარობის დაცემა ყოფილა.**

გერმანელი სოციოლოგის, ვინმე იულიან კორნილის მიერ ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ გერმანელი მშობლები უკანასკნელ წლებში ქალიშვილის დაბადებისთანავე იწყებენ ფულის გროვებას, რათა უმაღლესი განათლებისათვის თანხა ყოველთვის ჰქონდეთ და ბავშვებს პატარაობიდანვე სწავლისკენ და საჭირო პროფესიის მიღებისაკენ მოუწოდებენ, ეს კი სპორტის პოპულარობას თანდათან ამცირებს.

დღეს გერმანიაში როგორც შვილი გოგონები, ასევე ვაჟები სპორტზე უმეტესად სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ ემიგრანტებს, ანუ იმ ადამიანებს დაჰყავთ, რომელთა შვილების მომავალი ხშირ შემთხვევაში სპორტში წარმატებით იწყება და სრულდება, თვითონ გერმანელები კი მხოლოდ სპორტის ქომაგების სტატუსით შემოიფარგლებიან. რამდენად კარგია ეს ტენდენცია — მკითხველმა განსაჯოს...

**როსტომ რაჭველიშვილი**

ფეხბურთი

# „ბარსელონა“ მარტინოს ახალ კონტრაქტს უმზადებს

**კატალონიის „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა გუნდის თავკაცის ხერარდო მარტინოს მუშაობით კმაყოფილია და მზადაა, არგენტინელ სპეციალისტთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. ამის შესახებ Marca იუწყება.**

„ძალიან გაგვიხარდება, თუ მარტინო ჩვენთან 2016 წლამდე დარჩება“, — განაცხადა „ბლაუგრანას“ ახლადდანიშნულმა პრეზიდენტმა ხოსეპ ბარტომეუმ.

მარტინოს კატალონიელებთან მოქმედი კონტრაქტი 2015 წლის ივნისამდე აკავშირებდა. „ბარსელონას“ ხელშეკრულების წელიწადით გახანგრძლივება სურს.

**გიორგი შოთაძე**



ჩოგბურთი



# ნადალი ჯანმრთელადაა

**მსოფლიო რეიტინგსიის ლიდერმა, სადიდსლემო ტურნირების 13-გზის ჩემპიონმა რაფა ნადალმა ბარსელონაში სამედიცინო შემოწმება გაიარა. გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ავსტრალიის ღია პირველობის წლევანდელი ტურნირის ფინალისტს ხერხემალზე დაზიანების კვალი არ აქვს. ამასთან, მედიკოსებმა ნადალს უახლოესი 2 კვირის განმავლობაში სიმშვიდე და წვრთნისას მაქსიმალურად მცირე დატვირთვა ურჩიეს.**

ამის გამო ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა, ითამაშებს თუ არა რაფა არგენტინის დედაქალაქის ბუენოს-აირესის ტურნირზე. ეს შეჯიბრება 10-16 თებერვალს ჩატარდება, რაფას მასში მონაწილეობის საკითხი კი მწვრთნელთა საბჭოსა და ნადალის მოთათბირების შედეგად გადაწყდება.

**კობა კობახიძე**

ვითარება

# შუმახერს კომიდან თანდათან გამოიყვანენ

**ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ექიმები მიხაელ შუმახერს კომიდან გამოყვანას უპირებენ. ეს იქნება ნელი და ხანგრძლივი პროცესი, რომლის განმავლობაშიც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მდგომარეობას მუდმივად დააკვირდებიან.**

გაზეთი ამ ინფორმაციის წყაროდ ლეგენდარული გერმანელის ერთ-ერთ ექიმს ასახელებს, მაგრამ მის ვინაობას არ ამხელს. იმავდროულად, ჯერ არავინ იცის, რა შედეგით დასრულდება კომიდან გამოყვანის პროცესი. ექიმებს არც იმაზე აქვთ პასუხი, შეძლებს თუ არა შუმახერი ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნებას.



ფრანგული გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას არ ადასტურებს „შუმის“ პირადი პრესმდივანი საბინე კემი. ის კვლავაც იმეორებს, რომ ოფიციალურ ინფორმაციას ან პირადად ექიმები გამოაქვეყნებენ, ან შუმახერის მენეჯმენტი. კემმა განაცხადა, რომ „ეკიპის“ პუბლიკაცია, შესაძლოა, „შუმის“ ფანებში გავრცელებულ სპეკულაციას ეყრდნობა, თუმცა, არც ის გამორიცხა, რომ ეს შეიძლება სიმართლეც იყოს. რაც მთავარია, მას ეს ინფორმაცია არ უარუყვია!

**ნატა ნიბლაძე**



**შიდა ბაზარი**

# ჩვენს ლარს წინსართი „დო“ რომ მიებმებოდეს...

**შარშანდელი ნოემბერ-დეკემბრიდან მოყოლებული, დოლარის მიმართ ლარის კურსი, მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად იკლებს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყოველი წლის მიწურულისთვის ლარის კურსი გარკვეულად მუდამ იკლებდა, მაგრამ მოკლე ხანში მისი კურსი თითქმის ყოველთვის თავის „ნაპირებს“ უბრუნდებოდა ხოლმე. ამჯერად კი...**

— დოლარის კურსის დაცემა ქვეყანაში არსებულ ყველა სისუსტეზე მიანიშნებს, — ამბობს ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე.** — ეკონომიკა ხელიდან თავისთავად, ლარის გაუფასურება ამ უკანასკნელზე მოთხოვნის ზრდას, ბაზარზე კი მიწოდების ბალანსის დარღვევას მოწმობს, რასაც ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების გაყიდვების პიკისებრი მატება ადასტურებს, რომელიც იანვარში გვაქვს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამის მიზეზს განსხვავებულად ხსნის ფინანსური სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის დირექტორი, ეროვნული ბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **მერაბ კაკულია.** მისი აზრით, საქმე ისაა, **რომ შარშანდელი ოქტომბრიდან მოყოლებული, საბიუჯეტო აქტივობაზე დაყრდნობით ეკონომიკამ გამოცოცხლება დაიწყო, რაც მოთხოვცა კი ესეც უაღრესად ცუდად აისახება მომხმარებელთა ბიუჯეტზე, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ინფლაცია გარკვეულ ზღვარს არ გასცდება.**

დემურ გიორხელიძისგან განსხვავებით, მერაბ კაკულია მიიჩნევს, რომ **ლარის გაცვლითი კურსის კლება საგანგებოდ ინიცირებული პროცესი არ არის და ხელისუფლებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად არაფერში სჭირდება.**

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლარის კურსის დაწევა როგორც ბიუჯეტის შემოსავალზე, ასევე მის გასავალზეც, კერძოდ, ფინანსურ ვალდებულებებზე მოქმედებს, — ამბობს იგი. — ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება შესაბამისად გვეცლება, ეროვნული ბანკი სუსტია, მისი პასიურობა ხალხში პანიკას რომ თესავს. არსებული ვითარება, ჩემი აზრით, შფოთვის საფუძველს არ ქმნის, თუმცა კი ვეჭვობ, რომ მთავრობისა და ეროვნული ბანკის რესურსებით შესაძლებელი იყოს სიტუაციის კონტროლს დაქვემდებარება. ზოგადად, ვალუტის კურსის თამაში ეკონომიკის განვითარების დინამიკას უკავშირდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ასე არ არის. ლარის კურსის ვარდნა სეზონურ ფაქტორთან არანაირად არაა დაკავშირებული. ვფიქრობ, **ამის მიზეზი ისაა, რომ წლების მანძილზე ქვეყანაში გარკვეულ პირთა ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც წყვეტს, თუ როგორი უნდა იყოს ლარის კურსი დროის გარკვეულ მონაკვეთში,** — ასეთია ექსპერტის აზრი.

სიტყვამ მოიტანა და აქვე იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ მოსახლეობაში შექმნილი მდგომარეობის სიმყიფის განცდას უმუშევრობის პრობლემის გამძაფრებაც იწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ ბიზნეს-სექტორში საშუალო ყოველთვიური ხელფასი 815 ლარია, ერთი წლის მანძილზე დასაქმების ამ სეგმენტში სამუშაოდაკარგული ცხრა ათასზე მეტი კაცისთვის ლარის კურსის დაწევა არაფერი კარგის მომასწავებელი არ არის.

**ნის ზრდასა და, შესაბამისად, იმპორტის მატებაში გამოიხატა, ეს კი თავის მხრივ, მეტ სავალუტო სახსრებს საჭიროებს.** ამასთან, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას იგი სეზონურ ფაქტორსაც უკავშირებს:

— თუ ბოლო წლების ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მეოთხე კვარტალში საქონლისა და მომსახურების იმპორტი, ჩვეულებრივ, იზრდება, შედეგად მიმდინარე ბალანსიც უარესდება, — ამბობს იგი.

ამასთან, ლარის გაუფასურებას საკმაოდ დიდი ხნის სტაბილური პერიოდის შემდეგ მოსახლეობა საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს და, ძველი გამოცდილების გათვალისწინებით, ეროვნული ვალუტის მიმართ უნდობლობის სინდრომს უძლიერებს.

აქვე საგანგებოდ იმასაც აღვნიშნავთ, რომ **კახა ბენდუქიძის** აზრით, ლარის გაუფასურება სიტუაციური მოვლენაა და მნიშვნელოვანი ინფლაცია მოსალოდნელი არ არის. მისი თქმით, სავსებით გასაგებია, რომ მათთვის, ვისაც გარკვეული ფინანსური ვალდებულებები დოლარებით აქვს ნაკისრი, შემოსავალი კი ლარით აქვს, ლარის კურსის შემცირება მეტად მტკივნეულია. გაძვირება მხოლოდ გარკვეულ კატეგორიის საქონელს შეეხო, თუმ-



ზრდის ბიუჯეტიდან საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისა და პროცენტების გადასახდელად საჭირო ხარჯს. ამდენად, ვფიქრობ, რომ მთავრობისთვის ეს ხელსაყრელი არ უნდა იყოს.

ეს ბოლო თეზისი, ჩვენი აზრით, უდავოდ ლოგიკურია, რადგან წლეულს საქართველოს საგარეო და შიდა ვალის მომსახურების ხარჯი საგრძნობლად ეზრდება. **2014 წლის დამლევისთვის ქვეყნის საგარეო ვალი 8 მილიარდი ლარი იქნება. სადღეისოდ, საგარეო ვალი 7 მილიარდი ლარია, წლის მანძილზე მთავრობა კიდევ მილიარდ 36 მილიონ ლარს ისესხებს, ხოლო საგარეო ვალდებულებების მომსახურებასა და დასაფარავად 720 მილიონ ლარს დახარჯავს, რა თანხიდან 529 მილიონი ლარი ძირითადი თანხაა, 191 მილიონი ლარი კი პროცენტი.** აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ არსებული მონაცემებით, მიუხედავად ჩვენი სუსტი ეკონომიკისთვის ვალის დიდი მოცულობისა, მისი დონე, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაინც კატასტროფული არ არის. **მთავრობა კი ვალს იმის იმედად უმატებს, რომ გაისად და მერმის ეროვნული ეკონომიკის დონე იმდენად გაიზრდება, რომ თანხების გასტუმრება პრობლემური არ იქნება.**

— ყველა იმპორტზე ორიენტირებული ქვეყნის, მათ შორის, ცხადია, საქართველოსიც, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, უარყოფითად მოქმედებს, რაც საქონელსა და მომსახურებაზე სამომხმარებლო ფასების ზრდაში გამოიხატება. ამას ყოველდღიურ ყოფაში მოსახლეობა ყველანაირად გრძნობს — თუ კომუნალური გადასახადები, ჯერჯერობით მაინც, კვლავინდებურად „მაღალ პოზიციებს“ ინარჩუნებენ, რაც არა მომწოდებელი კომპანიების წყალობაა, არამედ კანონმდებლობითაა ხისტ ჩარჩოებში ჩასმული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები უსაშველოდაა გაზრდილი, ზოგ შემთხვევაში 2-3-ჯერაც კი. გაძვირებულია კარტოფილი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ლობიო, მწვანილი, ყველი. ბუნებრივია, ფასების ზრდაზე გარკვეულ ზეგავლენას სეზონური ფაქტორი და ზოგიერთი სახეობის პროდუქციის დეფიციტიც განაპირობებს, მაგრამ ლარის კურსის დაწევასაც, ამაში, უდავოდ, თავისი წვლილი მიუძღვის, რაც მოსახლეობის ისედაც დაბალი მსყიდველუნარიანობის კიდევ უფრო მეტად შემცირებით გამოიხატება.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ექსპერტთა საერთო აზრით, ლარის ამჟამინდელი გაუფასურება მაინც არ სცილდება სეზონურობის, ეკონომიკისთვის გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელ „ქანქარის“ ტიპის პროცესებს, როცა ქვეყანაში ახალი საკანონმდებლო საფუძველზე განსხვავებული ურთიერთობები მყარდება, უწინარესად, მეწარმე სუბიექტებსა და სახელმწიფო ფისკალურ სისტემას შორის. ამდენად, ჩვენი სახელოვანი სპორტული კომენტატორის თქმისა არ იყოს, „ვნახოთ, რას მოგვიტანს დარჩენილი დრო“.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

**დალილა მიქაძე, მერაბ, ირინე, ნიკუშა მანჯგალაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**სერგი მავრის ძე ზალდასტანიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**სს „საქწყალპროექტის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ინსტიტუტის უფროს მენეჯერს მავრ ზალდასტანიშვილს გარდაეცვალა ვაჟიშვილი**

**სერგი ზალდასტანიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.**

---

**ინფორმაცია**

## სამართალმა იზეიმა

**საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გოგა ანჩაბაძის დაჭრაში ეჭვმიტანილ კონსტანტინე გულორდავას გუშინ სასამართლომ ერთწლიანი პირობითი სასჯელი და 2000-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. გულორდავას ადვოკატის განცხადებით, მათ პროკურატურასთან შეთანხმებას მიაღწიეს, რის შედეგადაც დადგა ეს განაჩენი.**

**გულორდავას ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ისინი სასამართლოს განაჩენით კმაყოფილები არიან.**

**შემთხვევა ზუგდიდში 2013 წლის 12 ნოემბერს მოხდა. კონსტანტინე გულორდავამ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გოგა ანჩაბაძე დაჭრა. გავრცელებული ვერსიით, პოლიციის თანამშრომელი გულორდავას მეუღლის გაუპატიურებას ცდილობდა.**

**ინტერპრესი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

---

**ჩვენი კარაბადინი**

## სიარული კიბოს წინააღმდეგ



**ფიზკულტურა ამცირებს პოსტმენოპაუზში სარძევე ჯირკვლების კიბოს განვითარების რისკს. ამერიკის კიბოს შესწავლის საზოგადოებამ დიდი გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დაადგინა, რომ ზომიერი ფიზიკური დატვირთვები აუცილებელია 50 წელზე მეტი ხნის ქალებისთვის და არა მხოლოდ სხეულის წონის დაკლებისთვის.** თურმე, იმათ, ვისი აქტივობაც იყო 7 საათზე ნაკლები ან სხვა აერობიკა კვირაში, ჰქონდათ ამ დაავადების გაზრდილი რისკი. კვირაში 7 საათის სეირნობა საშუალოზე 14 პროცენტით დაბლა სწევდა ამ რისკს. ყველაზე აქტიურ ქალებს, რომლებიც კვირაში 10 და მეტ საათს დადიოდნენ, სახიფათო დაავადების რისკი უმცირდებოდათ უკვე 25 პროცენტით.

## სუფთა ჰაერზე

**ფიზკულტურა სუფთა ჰაერზე მნიშვნელოვნად სწევს დაბლა სისხლის წნევას ჰიპერტონიკებში, დაადგინეს ჩინელმა მედიკოსებმა.** გამოირკვა, რომ ისინი, ვინც კვირაში თუნდაც 3 საათის განმავლობაში დადიოდნენ ფეხით, დარბოდნენ ან ასრულებდნენ გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ქუჩაში, ეწეოდნენ 11 პროცენტით ნაკლებ რისკს მიეღოთ ჰიპერტონული დაავადება. მათთვის კი, ვინც სუფთა ჰაერზე ვარჯიშობდა 4 და მეტ საათს კვირაში, რისკი 19 პროცენტით დაბალი იყო.

## გადატვირთვა გულის დახმარებაა

**გადატვირთვითი ვარჯიშები სასარგებლოა გულისთვის, გაარკვიეს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. „რკინის ტრენინგი“ დიდი ხნის განმავლობაში არასასარგებლოდ ითვლებოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, აერობიკისგან განსხვავებით.** მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმათ, ვინც კუნთებს „წვრთნიან“ სულ ცოტა სამჯერ კვირაში, აქვთ ქოლესტერინის ისეთივე „კარგი“ და „ცუდი“ შეფარდება, როგორც სირბილის მოყვარულებს. იმ ადამიანებთან შედარებით, ვისაც ცხოვრების ჯდომითი წესი აქვთ, კუნთების„წვრთნის“ მოყვარულებს შესამჩნევად აქვთ დაქვეითებული გულ-სისხლძარღვთა მთელი რიგი დაავადებების, კერძოდ, ათეროსკლეროზის რისკი.მათ ასევე იშვიათად აქვთ სხეულში ცხიმის გადაჭარბებული ოდენობა, მათ შორის ყველაზე სახიფათო მუცლის არეში და გულის გარშემო.

## არსებობს თუ არა გათვალვა, მოჯადოება?

**ამ შეკითხვაზე გვიპასუხებს მოსკოვის ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე ვალერი სარი-გუზელი.**

ისეთი მოვლენები, როგორებიცაა გათვალვა, თვალისცემა და მოჯადოება, ცნობილია და მათში არანაირი მისტიკა არ არსებობს. მაგალითად, როდესაც იუბილარს ან ახლადდაქორწინებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს და დიდხანს სიცოცხლეს, ჩვენმა პოზიტიურმა ემოციებმა მართლაც შეიძლება გაუმჯობესონ ცხოვრება ამ ადამიანებს.

არის სხვა ეფექტიც: თუ ადამიანს „მთელი სულით და გულით“ გაუგზავნი ნეგატიური ემოციების მუხტს, რომლებიც მიზნად დანგრევას (ბოროტებას, ზიზღს, შურს) ისახავენ, მის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს არახელსაყრელი ცვლილებები.

ჩვენს სახელოსნოში მოეწყო ექსპერიმენტები. ადამიანისგან იღებდნენ ფსიქოემოციურ მაჩვენებლებს, რის შემდეგაც მეორე სათავსოში მყოფი ჯგუფი მას „ქირდავდა“. ისინი მას წარმოიდგენდნენ უბოროტეს მტრად, იხსენებდნენ წყენას მისგან. შემდეგ კი ასრულებდნენ ამავე დავალებას დადებითი ინსტრუქციით: ფიქრობდნენ, როგორი კეთილი, კარგი ადამიანია იგი და ა.შ. როდესაც ადამიანზე ცუდს ლაპარაკობდნენ, მას ეზრდებოდა დაბნეულობა, თავის თავში დაურწმუნებლობა. უფრო მეტიც, ამ მდგომარეობაში ადამიანი ჩადიოდა მისთვის უჩვეულო საქციელს არახელსაყრელი შედეგებით. მეორე შემთხვევაში, პირიქით, ეზრდებოდა ფსიქოლოგიური ტონუსი, და ადამიანი ადეკვატურად აღიქვამდა რეალობას.

ჯერ კიდევ კვანტური ფიზიკის მამები — ბორი,ჰეიზენბერგი, შრიოზდინგერი — ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია გავითვალისწინოთ შეგრძნება, როგორც ფიზიკური სიდიდე, რომელიც გავლენას ახდენს პროცესებზე. მრავალმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ აზრმა და ემოციებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ ტექნიკის მუშაობაზეც კი. შეუმჩნევიათ, თუ უთავბოლო ადამიანს რაღაც მუდმივად ეშლება რაიმე მიზეზის გარეშე. ადამიანთა გავლენა ერთი-მეორეზე მხოლოდ მათი გვერდით ყოფნის გამო დიდი ხანია, ცნობილია. ბევრი ფსიქოლოგი, განსაკუთრებით ფროიდი და იუნგი, დეტალურად აღწერდნენ შემთხვევებს, თუ პაციენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორ გადაეცემოდა ექიმს ან სამედიცინო პერსონალს.



რომ არავინ გაგთვალოთ, დაიგროვეთ პოზიტიური ემოციები, იქონიეთ ურთიერთობა გულღია ადამიანებთან და ერიდეთ მათ, ვინც ყოველთვის ყველაფრით უკმაყოფილოა.

## დაიჯესტი

### ციკლის მუდმივი მდგენელი

**მზის მაგნიტურ ველზე დაკვირვების მწარმოებლის „ტენფორდ ვილკოქს სოლერ ობსერვატორის“ მონაცემებით, უახლოეს ხანებში ჩვენი მნათობი მაგნიტური ველის პოლარობას შეიცვლის. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მაგნიტური ველი „დაყირავდება“: ჩრდილოეთის პოლუსი სამხრეთში „ჩამოვა“, სამხრეთისა და ზევით „ავა“.**



სტენფორდის უნივერსიტეტის მზის ფიზიკის სპეციალისტის, პროფესორ ტოდ ჰოქსემის თქმით, მაგნიტური ველის პოლუსების შეცვლა, სავარაუდოდ, შემოდგომაზე მოხდება. თუმცა, ეს დედამიწისთვის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან მზის მაგნიტური ველის პოლარობის შეცვლა მისი აქტივობის 11-წლიანი ციკლის მუდმივად მდგენელი ნაწილია, რომელიც მნათობის აქტივობის პიკზე მოდის ხოლმე.

„გადაბრუნებისას“ მზის მაგნიტური ველი არსად არ გაქრება – უბრალოდ, ერთი პოლუსი მეორეს ჩაანაცვლებს. გაცილებით უფრო მეტად საშიშია მზის აქტივობის პერიოდები, რომელთა დროს მასზე ლაქების რიცხვი იზრდება, რომელთა გამოსხივება მეტეომგრძნობიარე ადამიანებზე ძალიან ცუდად მოქმედებს. 1978 წელს მუშაობის დაწყებიდან, ობსერვატორიის სპეციალისტებმა მზის პოლუსების ადგილის შეცვლის სამი მოვლენა დააფიქსირეს. მათგან ბოლო 2000-2001 წლებში იყო და მას, როგორც აღვნიშნეთ, გლობალური კატაკლიზმები არ მოყოლია.

ნასას სპეციალისტების აზრით, მაგნიტურ პოლუსთა ცვლილების წინ მზის მაგნიტური ველი შეიძლება შესუსტდეს, რომელიც ეგრეთ წოდებულ ჰელიოსფეროს ქმნის, რომელიც დედამიწას სამყაროს სიღრმეში აფეთქებული ზეახალი ვარსკვლავის მიერ გამოფრქვეული ზემაღალი ენერგიის მქონე კოსმოსური სხივებისგან იცავს. თუკი ეს დაცვა შესუსტდება, მძიმე ნაწილაკების დიდმა ნაწილმა შეიძლება დედამიწის ზედაპირზე მიაღწიოს, თუმცა, მცირე დოზით ეს სახიფათო არ არის.

### „მწვანე“ იწყებს და... იგებს

**მწვანე ჩაის სარგებლიანობის შესახებ ბევრია ნათქვამი და დაწერილი. ამის მიუხედავად, ბევრმა მისი სიკეთის შესახებ კონკრეტულად არაფერი იცის.**



**თავისუფალ რადიკალებთან ბმაში შესვლით, მწვანე ჩაის კატექინები ორგანიზმის დაბერებას ამუხრუჭებენ და მას კიბოსგან იცავენ. იაპონიაში, სადაც სპეციალისტები მწვანე ჩაის თვისებებს საგანგებოდ სწავლობენ, კიბოს კვლევის ცენტრის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მწვანე ჩაის რეგულარული მოხმარება სიმსივნეთა წარმოქმნის ალბათობას ამცირებს.**

ჩაი თავის ტვინის სისხლძარღვებს აფართოებს, მის სისხლმომარაგებასა და ჟანგბადით კვებას აუმჯობესებს. ამასთან, მწვანე ჩაის ნერვულ, სასუნთქ და გულის სისხლძარღვთა სისტემებზე კომპლექსური ზემოქმედების წყალობით ორგანიზმის საერთო სიცოცხლის ტონუსი და შრომისუნარიანობა მატულობს.

მწვანე ჩაის ადსორბირების უნარი მავნე ნივთიერებებიდან კუჭისა და ნაწლავების გაწმენდას, ხოლო მისი შარდმდენი თვისება – თირკმელების ტოქსინებისა და მარილებისგან გაწმენდის საშუალებას ქმნის. მწვანე ჩაის მავნე ნივთიერებები ასევე ოფლთან ერთად გამოყავს. ამასთან, იწმინდება ფორები, კანი უფრო თავისუფლად სუნთქავს, საერთო მდგომარეობაც უმჯობესდება.

შუა აზიაში მწვანე ჩაის ცხიმიან საკვებს ოდითგანვე აყოლებენ. მასში შემავალი პექტინები ცხიმებს ხლეჩენ და ორგანიზმს მათი დაგროვების შესაძლებლობას არ აძლევენ. ცხიმების ნეიტრალიზებით, მწვანე ჩაის სისხლში ქოლესტერინის დონეს დაბლა სწევს და ამით ათეროსკლეროზის დადგომას გადასწევს.

### მიირთვით დილაობით ყავა!



**კისრისა და მხრების სახსრებში ქრონიკული ტკივილების მქონე მოხელეების გამოკვლევის შედეგად ნორვეგიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დილაობით ფინჯანი ყავა ოფისის თანამშრომლებს დაძაბულობას უხსნის.**

გამოკვლევაში მონაწილე მოხალისეთა ერთ ჯგუფს დილაობით ფინჯანი მოხარშული ყავის დალევას სთავაზობდნენ. აღმოჩნდა, რომ„ყავის მოყვარულთა“ ჯგუფის წევრებში სახსრების ტკივილი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მათში, ვინც დილაობით ყავას არ სვამდა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში კოფეინი გამაყუჩებლისა და კუნთებში დაძაბულობის მომხსნელი საშუალებების როლს ასრულებს.

### მავნე ტკბილეული



**ესპანელმა დიეტოლოგებმა სტრესის გამომწვევი სურსათის ნუსხა შეადგინეს.**

„შავ სიაში“ ის პროდუქტები შეიტანეს, რომლებიც ფსიქიკაზე უარყოფითად ზემოქმედებენ და განგაშის, გაღიზიანებისა და სტრესის გამოწვევაც შეუძლიათ. მათ შორის მოხვდნენ საკონდიტრო ტკბილეული, კანფეტი, შოკოლადის ბატონები და სწრაფი კვების პროდუქტები.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### „ნაციონალები პოლიტიკური შტურმისთვის ემზადებიან, რომელსაც ღარიბაშვილი შეეწირება“

– აცხადებს ირინა სარიშვილი, – ჩვენ უახლოეს პერიოდში, დაახლოებით ერთი თვის ფარგლებში, უნდა ველოდოთ პოლიტიკურ სპექტრში, ოღონდ არასაპარლამენტო დონეზე ნაციონალების გააქტიურებას. იმიტომ, რომ ნაციონალები აშკარად პოლიტიკური შტურმის გასათამაშებლად ემზადებიან. ამ შემთხვევაში საპარლამენტო შტურმზეა საუბარი, რასაც დიდი ალბათობით შეიძლება შეეწიროს ირაკლი ღარიბაშვილი. ამ ყველაფერს გარედან გაფორმება სჭირდება, გარე მხარდაჭერის, რაც ჯერჯერობით ნაციონალებს არ გაუკეთებიათ. აი, ამის დაბალანსების ნიღბით ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო სპექტრი, შეიძლება, ჩამოყალიბდეს მესამე პოლიტიკურ ძალად.

**„ახალი თაობა“**

### რატომ უპირისპირდება გიორგი ვაშაძე გიგი უგულავას?!

„ნაცმოძრაობაში“ ისევ დაიძაბა სიტუაცია, დედაქალაქის მერის თანამდებობის გამო შიგნითვე წეწავენ ერთმანეთს. კერძოდ, გიორგი ვაშაძის გარშემო შეკრებილი „ნაციონალები“ მერის არჩევნებში გიგი უგულავას კანდიდატურის დაყენების წინააღმდეგ გამოდიან და მის ნაცვლად „ახალ სახეს“, იგივე გიორგი ვაშაძეს უჭერენ მხარს. როგორც „ალიას“ წყარო იტყობინება, „ნაციონალებს“ შორის დაპირისპირებამ პარტიაში გამართულ სამდივნოს სხდომაზე ღიად იჩინა თავი, დაპირისპირება ლანძღვა-გინებაში გადაიზარდა.

### ჯარიმები იზრდება...

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის დატოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალებით შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, მარტო კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, 250 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. პოლიციის მოთხოვნის შეუსრულებლობა კი 300-ლარიანი ჯარიმით ან მართვის უფლების 1 წლით შეჩერებით დაისჯება. გზაზე მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, იმ შემთხვევაში კი, თუ აღნიშნულ სამართალდარღვევას საავარიო ვითარების შექმნა, ან საგზაო მოძრაობის შეფერხება მოჰყვა, გამოიწვევს 500 ლარით დაჯარიმებას.



**„ალია“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

– პალმიდან ქოქოსებს როგორ კრეფთ?
– არ ვკრეფთ. როცა ქარი ქრის, ქოქოსები თვითონ ცვივა.
– თუ უქარო ამინდია?
– ნუ... მაშინ მოუსავლიანი წელია.

* * *

– ნაძირალავ, ნაგავო, პირუტყვო. მეტი არ შემიძლია, წავალ და ჭურჭლეულს დავამტვრევ! – უკივის ცოლი ქმარს.
– წადი, საყვარელო, წადი! პლასტმასის ჭურჭელი გიყიდე... მრავალსასკანდალო!



* * *

– ძვირფასო, შენ ყველაზე უკეთესი მყავხარ! – მესიჯს უგზავნის ცოლი ქმარს.
ქმარი მესიჯითვე უპასუხებს:
– ახლა სვამ თუ ვინმეს პრაქტიკულად მადარებ?

* * *

ბიჭი გოგოს მესიჯს უგზავნის:
– „დაშა, მინდიხარ!“
დაშას ტელეფონიდან მოდის პასუხი:
– „მეც მინდიხარ... დაშას მამა“.

* * *

ვაშლი ვიტამინებია, ვიტამინები – კუნთები, კუნთები – ძალა, ძალა – ძალაუფლება, ძალაუფლება – ფული, ფული – სექსი, სექსი – შიდსი, შიდსი – სიკვდილი. გინდა ვაშლი?

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24